

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

სახელმწიფოსა და სამართლის თეორიისა და
ისტორიის კათედრა

მურმან ბორბოშაძე

სახელმწიფოს ფორმები

გამომცემლობა
“ბათუმის უნივერსიტეტი”
ბათუმი 2006

წინამდებარე ნაშრომში, თანამედროვე მსოფლიოს სახელმწიფოთა ანალიზის საფუძველზე, განხილულია ზოგადი სახელმწიფოთმცოდნეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი – სახელმწიფოს ფორმები მმართველობის, ტერიტორიულ-სახელმწიფოებრივი მოწყობისა და პოლიტიკური რეჟიმის მიხედვით.

ნაშრომი განკუთვნილია, როგორც სტუდენტებისათვის, ასევე სახელმწიფოს საკითხებით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისთვის.

ავტორი გულისხმობს მოკიდება ნაშრომის მიმართ გამოთქმულ საქმიან წინადადებებსა და შენიშვნებს

სამეცნიერო რედაქტორი ზაზა რუხაძე

ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის პროფესორი

რეცენზენტები: ნუგზარ სურგულაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ნუგზარ ფუტყარაძე

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო

უნივერსიტეტის დოცენტი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი

ISBN 99940. 25-25-2

გამომცემლობა “ბათუმის უნივერსიტეტი”

© მ. გორგოშაძე, 2006

1. სახელმწიფოს ფორმის ცნება

თანამედროვე მსოფლიოში ორასამდე სახელმწიფოა, რომლებშიც ოთხი ათასამდე ერი და ეთნოსი ცხოვრობს. ეს სახელმწიფოები ერთმანეთისგან განსხვავდებიან მათში მცხოვრები ხალხის კულტურითა და ტრადიციებით, რელიგიური შეხედულებებით, საზოგადოების წინაშე დასმული მიზნებით და ამოცანებით, დემოკრატიის განვითარების დონით და სხვა თავისებურებებით. ყოველივე ეს გავლენას ახდენს თითოეული მათგანის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების ჩამოყალიბებასა და ორგანიზაციაზე, მის ტერიტორიულ მოწყობაზე, ცენტრალური, რეგიონალური თუ ადგილობრივი ხელისუფლების ურთიერთდამოკიდებულებაზე, პოლიტიკური ხელისუფლების განხორციელების მეთოდებსა და საშუალებებზე, ერთი სიტყვით, საზოგადოების პოლიტიკური ორგანიზაციის, ანუ საზოგადოების სახელმწიფოებრივი ცხოვრების შინაარსზე. ყოველი შინაარსი და მათ შორის სახელმწიფოს შინაარსიც გარკვეული ფორმით ვლინდება. ფორმა შინაარსის ორგანიზაციაა. „საგნები ფორმით არსებობენ“, მაშასადამე, სახელმწიფოს ფორმა, წარმოადგენს სახელმწიფოს შინაარსის, მისი არსებობის, არსის გამოვლენას, გამოხატვას. შინაარსისა და ფორმის ურთიერთობიდან გამომდინარე ფორმა გარკვეული შინაარსის შემცველია, უშინაარსო ფორმა არ არსებობს. სახელმწიფოს წარმოშობაც გარკვეული შინაარსის გარკვეულ ფორმაში მოქცევით გახდა შესაძლებელი. „ფორმას უნდა უმაღლოდეს სახელმწიფო თავის გაჩენას“ (47.302.). სახელმწიფოს ფორმისა და შინაარსის ურთიერთმიმართებაში, მხოლოდ შინაარს არ მიეწერება განმავითარებლის ფუნქ-

ცია, „ფორმა, როგორც სტრუქტურის შესაძლებლობა“(48.90) ხელს უწყობს ან უშლის სახელმწიფოს შინაარსის გარეგანოვლენას. ამდენად, სახელმწიფოს ფორმის როგორცაზე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელების ეფექტურობა, მისი შესაძლებლობების რეალიზაცია, სახელმწიფოებრივი ცხოვრების სტაბილურობა, კანონიერებისა და მართლწესრიგის დონე და ა.შ. ანუ მისი შინაარსი. ამიტომ სახელმწიფოს ფორმის კვლევას თეორიულთან ერთად დიდი პრაქტიკული მნიშვნელობაც აქვს.

სახელმწიფოს ფორმასა და მის შინაარს შორის არსებობს თანაფარდობითი მიმართება, ისინი ურთიერთზეგავლენას განიცდიან, სახელმწიფოს შინაარსისა და მიზნების შესაბამისი ფორმის მიგნება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია სახელმწიფოს ცხოვრებაში. სახელმწიფოს ფორმის ოპტიმალური მოდელის შერჩევა დამოკიდებულია არა მხოლოდ ობიექტური ეკონომიკური, სოციალური ფაქტორებისა და მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების არსის ცოდნაზე, არამედ აგრეთვე სახელმწიფოს ფორმათა იმ ნაირსახეობების ცოდნაზეც, რომელსაც თანამედროვე სახელმწიფოთა გამოცდილება იცნობს. წინამდებარე ნაშრომის მიზანი ამ გამოცდილების გაცნობაა, ცხადია, ამომწურავი ინფორმაციის ფლობაზე პრეტენზიის გარეშე.

ზემოთქმულიდან გამომდინარე სახელმწიფოს ფორმა სახელმწიფოს შინაარსით გაპირობებული ერთიანი სამართლებრივ-პოლიტიკური სტრუქტურაა, რომელიც ვლინდება სახელმწიფო ხელისუფლების მმართველობითი, ტერიტორიული და პოლიტიკური რეჟიმის მიხედვით ორგანიზაციის წესებში, სხვანაირად თუ ვიტყვით, *სახელმწიფო ხელისუფლე-*

ბის ორგანიზაციას, მისი ტერიტორიულ-სახელმწიფოებრივი მოწყობის წესებისა და განხორციელების საშუალებების ერთობლიობას სახელმწიფოს ფორმა ეწოდება. ამ განსაზღვრებიდან გამომდინარე სახელმწიფოს ფორმა, ანუ მისი გარკვეულობა, მისი სტრუქტურა, შემდეგ სამ ელემენტზე — მმართველობაზე, ტერიტორიულ – სახელმწიფოებრივ მოწყობასა და პოლიტიკურ რეჟიმზე დაიყვანება.

ამრიგად, სახელმწიფოს ფორმის ცნებაში მოიაზრება: პირველი, სახელმწიფოს ფორმა მმართველობის მიხედვით; მეორე, სახელმწიფოს ფორმა ტერიტორიულ-სახელმწიფოებრივი მოწყობის მიხედვით და მესამე, სახელმწიფოს ფორმა პოლიტიკური რეჟიმის მიხედვით. ავტორთა ერთი ნაწილი მეოთხე ელემენტს – პოლიტიკურ დინამიკას უმატებს სახელმწიფოს ფორმის სტრუქტურის აღნიშნულ სამ ელემენტს და მას ოთხელემენტიან სტრუქტურად წარმოადგენს. ზოგ მკვლევარს სახელმწიფოს ფორმის სტრუქტურა ერთ ელემენტზე – პოლიტიკურ რეჟიმზე დაჰყავს. ხშირია (განსაკუთრებით საზღვარგარეთელ ავტორებთან) სახელმწიფოს ფორმის ორი ელემენტით (მმართველობის ფორმითა და ტერიტორიულ-სახელმწიფოებრივი მოწყობით) წარმოდგენა (59.128).

2. სახელმწიფოს ფორმები მმართველობის მიხედვით

2.1. სახელმწიფოს მმართველობის ფორმის ცნება. სახელმწიფოს მმართველობის ფორმაში იგულისხმება სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების სტრუქტურა, მისი შექმნის წესი, უფლებამოსილებანი, ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებს შორის ურთიერთდამოკიდებულება, მოსახლეობის მონაწილეობა ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების შექმნაში და შესაბამისად მათი გავლენა ხელისუფლების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე.

სახელმწიფოს მართვა-გამგეობის ანუ სახელმწიფოს მმართველობის ფორმა ერთ-ერთი და უძირითადესი ელემენტია სახელმწიფოს ფორმის სტრუქტურაში. არისტოტელეს თქმით „სახელმწიფო და სახელმწიფო მმართველობა ერთსა და იმავეს ნიშნავს“ (2.76). იგივე არისტოტელე იყო ერთ-ერთი პირველი, რომელმაც სახელმწიფოს მმართველობის კლასიფიკაციის კრიტერიუმად შემოიტანა ხელისუფლების განხორციელება ერთის, უმცირესობის და უმრავლესობის მიხედვით. ერთის მმართველობას მონარქია უწოდა, უმცირესობის, მაგრამ ერთზე მეტის მმართველობას არისტოკრატია, ხოლო უმრავლესობის მმართველობას პოლიტეია (2.76). უფრო ადრე, პეროდოტესთანაც გვხვდება სახელმწიფოს მმართველობის ფორმის ამდაგვარი კლასიფიკაცია (37.164-166). არსებობს სახელმწიფოს მმართველობის ფორმებად დაყოფის სხვა კრიტერიუმებიც (პლატონი, მონტესკიე და სხვა) (53.55), თანამედროვე იურისპრუდენცია მმართველობის ფორმების აღნიშნულ კლასიფიკაციას კლასიკურს უწოდებს და დღესაც იყენებს მას.

მაშასადამე, სახელმწიფოს მმართველობის ფორმები დგინდება იმის მიხედვით, თუ როგორ იქმნება სახელმწიფო ხელისუფლება, ვის ხელშია იგი, ერთი პირის თუ არსებითი, კოლექტიალური ორგანოს. *განასხვავებენ სახელმწიფოს მმართველობის მონარქიულ და რესპუბლიკურ ფორმებს.*

2.2. მონარქიული მმართველობა. სიტყვა მონარქია ბერძნული ენიდან მომდინარეობს (ბერძნ. Monarch) და ორი სიტყვისგან შედგება. მონო – ერთს ნიშნავს, ხოლო არხე-ხელისუფლებას, ე.ი. მონარქია ერთის ხელისუფლებას, ერთის მმართველობას აღნიშნავს.

თანამედროვე მსოფლიოში ორმოცზე მეტი მონარქიული სახელმწიფოა. სხვადასხვა ქვეყნებში მონარქი სხვადასხვაგვარად იწოდება: მეფედ – დიდ ბრიტანეთში, ესპანეთში, დანიაში, ბელგიაში და სხვა. სულთანად – მაღაიზიაში, ბრუნეიში, ომანში და სხვა. ემირად – ქუვეითში, არაბეთის გაერთიანებულ საამიროებში და სხვა. დიდ ჰერცოგად – ლუქსემბურგში, თავადად (მთავარი) – ლისტენშტეინში, იმპერატორად – იაპონიაში და სხვა.

მონარქიული მმართველობა ხასიათდება შემდეგი ზოგადი ნიშნებით:

- მონარქი სახელმწიფოს უმაღლესი ხელისუფლების ერთპიროვნული მატარებელია (იშვიათი გამონაკლისის გარდა) სიკვდილამდე;
- მონარქი თავის პოსტს პერსონალურად იჭერს, მას არ ჰყავს ვიცე-მონარქი (თუმცა დიდი ბრიტანეთის მეფის მიერ დანიშნულ გუბერნატორებს ზოგჯერ ვიცე-მეფეებსაც უწოდებენ);
- მონარქს უფლება აქვს გადადგეს სამეფო ტახტიდან;

- სახელმწიფო ხელისუფლება მემკვიდრეობით (სისხლის პრინციპით) გადადის მონარქის შვილზე, უმეტესწილად ვაჟზე, ზოგჯერ ქალიშვილზეც. თუ შვილი მცირეწლოვანია, მის სრულწლოვანობამდე, ან ტახტის ვაკანტურობის, მონარქის ხანგრძლივი ავადმყოფობის თუ დროებითი არყოფნის შემთხვევაში, სახელმწიფოს მართავს რეგენტი ან რეგენტთა საბჭო. განასხვავებენ ტახტის მემკვიდრეობის სამ ძირითად სისტემას:

ა) სალიკური სისტემა, რომლის მიხედვითაც ტახტი გადადის მხოლოდ მამაკაცებზე და ქალები ტახტის მემკვიდრეობიდან მთლიანად გამოირიცხებიან;

ბ) კასტილიური სისტემა, რომლის მიხედვითაც ქალები არ გამოირიცხებიან ტახტის მემკვიდრეობიდან, მაგრამ უპირატესობა მამაკაცებს ენიჭებათ (უმცროსი ძმა სარგებლობს უპირატესობით უფროს დასთან მიმართებაში);

გ) ავსტრიული სისტემა, რომლის მიხედვითაც, მართალია, ქალები არ გამოირიცხებიან ტახტის მემკვიდრეობიდან, მაგრამ საერთოდ მამაკაცებს და მამაკაცთა შტოს ენიჭება უპირატესობა სანათესაო შტოში. ამ სისტემის ქვეყნებში ქალებს მხოლოდ მაშინ გადაეცემათ ტახტი, როცა მათ მოდგმაში აღარ დარჩება არცერთი მამაკაცი;

- მონარქი სახელმწიფოს მართავს თავის სამართლის მიხედვით. მისი უფლებამოსილება არაა დელეგირებული არც ხალხის და არც რომელიმე ორგანოს მიერ;

- მონარქს თვლიან ღვთაებრივი წარმოშობის პირად;

- მონარქი თავისუფალია როგორც პოლიტიკური, ასევე იურიდიული პასუხისმგებლობისაგან;

- მონარქი პასუხს აგებს მხოლოდ ღვთის წინაშე. თუმცა, რევოლუციური ეპოქები ყოველთვის არ ითვალისწინებენ ამ წესს, ისტორიამ მეფეთა დასჯის ფაქტებიც იცის.

მემკვიდრეობით მონარქიასთან ერთად არსებობდა საარჩევნო მონარქიაც, რომლის დროსაც, არჩევნების საშუალებით ხდებოდა ტახტის ერთი პირიდინ მეორეზე გადასვლა. მიუხედავად იმისა, რომ ზოგჯერ მონარქის არჩევნებს მონარქს ავალდებულებდნენ ხალხის პრივილეგიის დაცვას (52.77), არჩევნები მონარქის ინსტიტუტს არ აქცევს წარმომადგენლობით ორგანოდ, ვინაიდან ამ არჩევნების შედეგად არ ხდება უფლებათა დელეგირება ხალხიდან მეფეზე. საარჩევნო მონარქია განსაკუთრებით იმ შემთხვევაში იყო მიზანშეწონილი, როცა ახალი დინასტიების მოწვევა ხდებოდა.

მონარქს ირჩევენ თანამედროვე მონარქიულ სახელმწიფოებშიც. მაგალითად, მაღაიზიის ფედერაციასა და არაბთა გაერთიანებულ საამიროებში. ეს არჩევითობა მონარქიის ინსტიტუტს აახლოებს პრეზიდენტის ინსტიტუტთან, ხოლო მმართველობის მონარქიულ ფორმას რესპუბლიკურთან, ასეთ მონარქიულ სახელმწიფოებს “რესპუბლიკურ მონარქიებსაც” უწოდებენ, მაგრამ რეალურად მაღაიზიაც და არაბთა გაერთიანებული საამიროებიც მონარქიული სახელმწიფოებია, რადგანაც არჩევნები ფორმალურ ხასიათს ატარებს, კერძოდ: მაღაიზიის ფედერაციაში ცამეტი სუბიექტია, მათ შორის ცხრას მართავს მემკვიდრეობითი მონარქი – სულთანი, რომლებიც ქმნიან მმართველთა საბჭოს, ხოლო ოთხს ქვეყნის უმაღლესი მმართველის – მონარქის მიერ დანიშნული გუბერნატორები. მმართველთა საბჭო, მასში შემავალი ცხრა მემკვიდრეობითი მონარქისაგან ერთ-ერთს

ირჩევს ქვეყნის უმაღლეს მმართველად(მონარქად) ხუთი წლის ვადით.

მაღალიზიისგან განსხვავებით არაბთა გაერთიანებულ საამიროებში კოლეგიური მონარქია არსებობს შვიდი ემირის უმაღლესი ფედერაციული საბჭოს სახით, რომელიც მთლიანად ფლობს სახელმწიფო ხელისუფლებას. ამ საბჭოს შემადგენლობიდან, ხუთი წლის ვადით ირჩევა ქვეყნის მეთაური, რომლის ძირითადი უფლებამოსილებანი თავმოყრილია ემირთა უმაღლესი საბჭოს ხელში. ფედერაციის საბჭო ნიშნავს საკონსულტაციო ხასიათის მქონე ეროვნულ კრებას. სახელმწიფოს მეთაურად (მონარქად) დამოუკიდებლობის დღიდან, 1971 წლის 2 დეკემბრიდან, მოყოლებული ირჩევენ ქვეყნის 85%-ზე განლაგებული უმსხვილესი ემირატის – აბუ-დაბის მონარქს.

ისტორიაში ცნობილია აგრეთვე ერთ სახელმწიფოში ერთდროულად ორი მონარქის მმართველობა. სპარტას ორი მეფე მართავდა, სპეციალისტები თვლიან, რომ ორი მეფის ძალაუფლების წარმოშობას საფუძველად უნდა დადებოდა ორი ტომის გაერთიანება, რომელთაგან თითოეულმა თავისი წინამძღოლი შეინარჩუნა (19. 100).

განასხვავებენ მონარქიის ორ ფორმას – აბსოლუტურს ანუ შეუზღუდავს (როგორც საერო, ასევე თეოკრატიული სახით) და კონსტიტუციურს ანუ შეზღუდულს (დეუალისტური და საპარლამენტო სახით).

ა. აბსოლუტური ანუ შეუზღუდავი მონარქია. აბსოლუტური ანუ შეუზღუდავი მონარქია, კლასიკური სახით, მმართველობის ისეთი ფორმაა, რომელშიც სახელმწიფო ხელისუფლების სამივე შტო (საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო) ერთი პირის — მონარქის ხელშია.

ასეთ სახელმწიფოში არ არსებობს არც კონსტიტუცია და არც პარლამენტი. ერთი ფიზიკური პირი ადგენს, ახორციელებს და განსჯის სახელმწიფოში მიმდინარე პროცესებს. მისი ხელისუფლების იურიდიულად შემზღვევადი არანაირი მექანიზმი არ არსებობს. თუმცა, მონარქი იძულებულია ანგარიში გაუწიოს მსოფლიოსა და ქვეყანაში არსებულ პოლიტიკურ, ზნეობრივ, რელიგიურ თუ ჩვეულებით სიტუაციებს. აბსოლუტური მონარქია ფეოდალური დაქუცმაცებულობის დაძლევის შედეგად წარმოშობილი სახელმწიფოს მმართველობაა. ცხადია, აბსოლუტური მონარქიის ფორმის მქონე სახელმწიფოში, სახელმწიფოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროს მართვისთვის, მონარქის გარდა, სხვა სახელმწიფო ორგანოებიც არსებობს, შესაძლებელია აღმასრულებელი ხელისუფლების განსახორციელებლად მონარქმა დანიშნოს მთავრობა, მაგრამ ეს ორგანოები მოკლებული არიან ყოველგვარ ავტონომიას და საკუთარი ინიციატივის უფლებას. ისინი იურიდიულ მნიშვნელობას მონარქის დავალებებისაგან იღებენ. აბსოლუტურ მონარქიაში მონარქს ყოველთვის შეუძლია უკანვე მოითხოვოს ის უფლებები პირადად განსახორციელებლად, რომელთა შესრულება დროებით დავალებული ჰქონდა ამა თუ იმ მოხელეს, თუ ამა თუ იმ ორგანოს (26.30). აბსოლუტური მონარქია დამახასიათებელი იყო ძველი აღმოსავლეთისათვის და ადრე ფეოდალური პერიოდის დასავლეთისათვის. აბსოლუტური მონარქიები „წმინდა“ ფორმით თანამედროვე მსოფლიოში არ, ან თითქმის არ გვხვდება. სპეციალისტები, აბსოლუტური მონარქიის მმართველობის მქონე სახელმწიფოებად, ამა თუ იმ ნიშნის მიხედვით, მიიჩნევენ ბაჰრეინს, ბრუნეის, ვატიკანს, კატარს, ქუვეითს, არაბთა გაერთიანე-

ბულ საამიროებს, ომანს, საუდის არაბეთს. ამ სახელმწიფოთაგან ომანის სასულთნოში 1996 წელს კონსტიტუციის ოქტროირება მოხდა, ანუ ხალხს კონსტიტუცია აჩუქა მონარქმა. [მონარქის მიერ კონსტიტუციის ჩუქება, ერთგვარი წყალობის უესტია მოსახლეობის მიმართ. ცნობილია კონსტიტუციის ოქტროირება არა მხოლოდ მონარქის, არამედ პრეზიდენტისა (პაკისტანი 1962წ.) და მთავრობის (ფიჯის კონსტიტუცია 1990წ.) მიერაც]. მონარქმა ხალხს კონსტიტუცია აჩუქა კატარშიც 1972 წელს. საუდის არაბეთში 1992 წელს მიიღეს კონსტიტუცია, მანამდე კი კონსტიტუციად ოფიციალურად ითვლებოდა ყურანი. ცნობილია საუდის არაბეთის მეფის ასეთი გამონათქვამი: „კონსტიტუციაა? რისთვის? ყურანი ძველი და ყველაზე ეფექტური კონსტიტუციაა მსოფლიოს ყველა კონსტიტუციას შორის. ისლამი საკმაოდ მოქნილი რელიგიაა, რათა უზრუნველყოს ჩვენი ხალხის ბედნიერება“ (20.18).

აღნიშნული მონარქიული სახელმწიფოები კონსტიტუციებითა (ქუვეითი 1962წ., არაბთა გაერთიანებული საამიროები 1971წ., ბაჰრეინი 1973წ.) და კანონსათათბირო საპარლამენტო ორგანოებით (ქუვეითი, ბაჰრეინი) „შეიმოსენ“, რითაც ისინი ფორმით ნახევრადაბსოლუტურ მონარქიებად (კონსტიტუციური მონარქიის ელემენტების მქონე აბსოლუტურ მონარქიებად) იქცნენ. ამ კონსტიტუციების თანახმად მონარქი აღმასრულებელ ხელისუფლებას ახორციელებს მთავრობასთან ერთად (მაგ., ქუვეითში მთავრობის მეთაურად ინიშნება პრინცი), ხოლო საკანონმდებლო ხელისუფლებას სხვადასხვა სახის კანონსათათბირო ორგანოების მეშვეობით. მიუხედავად ამისა, ეს კონსტიტუციები იმაზე უფრო მეტად ვერ ზღუდავენ მონარქიის ხელისუფლებას, ვიდრე მმართველთა

ოჯახი, რომელსაც განსაკუთრებული როლი მიეკუთვნება აღნიშნული ტიპის სახელმწიფოთა ცხოვრებაში. მმართველთა ოჯახს, თავის საბჭოზე, შეუძლია აიძულოს მონარქი უარი თქვას ტახტზე (40.18).

აბსოლუტური მონარქიის ქვეყნებში, მონარქი, ამავე დროს, ითვლება უმაღლეს სასულიერო პირად, იგი განაგებს ქვეყნის რელიგიურ ცხოვრებასაც, რაც კიდევ უფრო ზრდის მის ისედაც შეუზღუდავ ხელისუფლებას. ასეთ მონარქიებს *თეოკრატიულ აბსოლუტურ მონარქიებსაც* უწოდებენ (ვატიკანი, საუდის არაბეთი, ბაჰრეინი, და სხვა).

ბ. კონსტიტუციური ანუ შეზღუდული მონარქია. *შეზღუდული მონარქია ეწოდება ისეთ მონარქიას, რომელშიც მონარქის ხელისუფლება იზღუდება რომელიმე ორგანოს მიერ.* მონარქის ხელისუფლების შემზღუდავ ორგანოებს შეიძლება წარმოადგენდეს წოდებრივ-წარმომადგენლობითი ორგანო, პარლამენტი, კონსტიტუცია, დამოუკიდებელი სასამართლო ხელისუფლება.

წოდებრივ-წარმომადგენლობითი მონარქია იმით ხასიათდება, რომ მონარქის ხელისუფლება შეზღუდულია პრივილეგირებული წოდების ან მათი წარმომადგენლების მიერ შექმნილი რომელიმე ორგანოს მიერ.

წოდებრივ-წარმომადგენლობითი მონარქია, როგორც მონარქიული მართვა-გამგეობის სახე, ჩამოყალიბებას იწყებს მე-13 საუკუნის მეორე ნახევრიდან. ამ პერიოდში ინგლისში *პარლამენტის სახელწოდებით შეიკრიბა წოდებრივი ორგანო*, რომელიც 1295 წლიდან მუდმივ საკანონმდებლო ორგანოდ გადაიქცა. მე-17 საუკუნიდან ინგლისში ყალიბდება საპარლამენტო მონარქია. ამ პერიოდიდან ინგლისის მეფის მიერ გამოცემული აქტი ძალაში შედიოდა მხოლოდ იმ

შემთხვევაში თუ მასზე მეფის ხელწერის გარდა ინგლისის მთავრობის პირველი მინისტრის ხელწერაც იქნებოდა. ამავე დროს მეფე ინარჩუნებდა პარლამენტის მიერ მიღებულ კანონზე ვეტოს უფლებას. თუმცა ეს უფლება ინგლისის მონარქს 1707 წლის შემდეგ არ გამოუყენებია.

მე-14 საუკუნის დასაწყისში საფრანგეთში ჩამოყალიბდა წოდებრივ-წარმომადგენლობითი ორგანო გენერალური შტატები, რომელიც გარკვეულად ზღუდავდა საფრანგეთის მონარქის უფლებებს. მე-14 საუკუნის დასაწყისისათვის გენერალური შტატები მეფის მოწვევით იკრიბებოდა, ხოლო საუკუნის ბოლოსათვის მეფის მოწვევის გარეშეც, რეგულარულად წელიწადში ორჯერ და ნიშნავდა მეფის მრჩეველებს, წყვეტდა გადასახადების საკითხებს და სხვა. მე-15 საუკუნისათვის საფრანგეთში გენერალური შტატების ფუნქციები მნიშვნელოვნად შემცირდა.

გერმანიაში რაიხსტაგითა და ლანდტაგით იზღუდებოდა მონარქის უფლებები. ესპანეთში კორტესით.

საგულისხმოა, რომ მონარქის უფლებების შეზღუდვის იდეა, მე-12 საუკუნის საქართველოში „კარავის“ სახით გაჩნდა. „კარავის დაცემის“ ანუ პარლამენტის მაგვარი დაწესებულების დაარსება მოითხოვა ყუთლუ-არსლანის პოლიტიკურმა დასმა, რომლის პოლიტიკური პროგრამა ითვალისწინებდა პარლამენტის მსგავსი დაწესებულების შექმნას და სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილება-განხორციელებას სხვადასხვა ორგანოების მიერ. სასამართლო და საკანონმდებლო ხელისუფლება ყუთლუ-არსლანის მომხრეებისაგან შემდგარ პარლამენტს უნდა მიკუთვნებოდა, ხოლო აღმასრულებელი ხელისუფლება მეფეს (27.163). ყუთლუ-არსლანის დასის პროგრამასთან დაკავშირებით არსებობს სხვა მოსაზ-

რეზაც, რომლის მიხედვითაც "კარავის" იდეა არ წარმოადგენს პარლამენტურ მოძრაობას. "იგი ითვალისწინებდა არა პარლამენტის შემოღებასა და ხელისუფლების დანაწილებას, არამედ ცენტრალური მმართველობის გამოყოფას მეფის კარისაგან. ამ დაწესებულების (ცენტრალური მმართველობიდან გამოყოფილი "კარავის"-მ.გ.) გადაწყვეტილებებს კანონის სახე უნდა მიეღო მაშინ, როცა მეფე დაამტკიცებდა"(62. 192). ასეა თუ ისე, აღნიშნული პოლიტიკური დასის მოთხოვნათა მიხედვით, გარკვეულად იზღუდებოდა მეფის უფლებები, იგი მონაწილეობას ვერ ღებულობდა "კარავის" მუშაობაში. „კარავი“ თავის გადაწყვეტილებას აცნობებდა მეფეს. „კარავი“ იქნებოდა მუდმივმოქმედი ორგანო, რომელშიც მსხვილ ფეოდალებთან ერთად მონაწილეობას ქალაქის ზედაფენის წარმომადგენლებიც მიიღებდნენ. „კარავის“ დაარსების საქმე მე-12 საუკუნის საქართველოში მარცხით დამთავრდა, მიუხედავად ამისა იგი მნიშვნელოვანი მოვლენა იყო საქართველოს სახელმწიფოს ისტორიაში (31. 54-61). მე-19 საუკუნეში სოლომონ დოდაშვილმა და ოქროპირ ბატონიშვილმა შეიმუშავეს საქართველოს სახელმწიფოებრივი მოწყობის მოდელი, რომელსაც "ერთგვარი რესპუბლიკა" უწოდეს, რაც კონსტიტუციურ მონარქიაზე დამყარებულ წარმომადგენლობით საპარლამენტო მმართველობას გულისხმობდა.

კონსტიტუციური მონარქია, მონარქის უფლებების შეზღუდვის ხარისხის მიხედვით, შეიძლება იყოს დუალისტური და საპარლამენტო. დუალისტური (სიტყვა "დუალისტური" მომდინარეობს ლათინური ენიდან და „ორს" ნიშნავს) მონარქია ისტორიულად გარდამავალი ფორმაა აბსოლუტურ და საპარლამენტო მონარქიებს შორის. დუალისტურ მონარ-

ქიაში სუსტად, მაგრამ მაინც, სახეზე გვაქვს სახელმწიფო ხელისუფლების დაყოფა საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებად. რაც შეეხება სასამართლო ხელისუფლებას, დუალისტურ მონარქიაში მას ძირითადად მონარქი ანხორციელებს(39.307). დუალისტურ მონარქიაში ერთგვარ „ორხელისუფლებიანობასთან“ გვაქვს საქმე, მემკვიდრეობითი ორგანოს,—მონარქის გვერდით არსებობს და ხელისუფლებას ინაწილებს არჩევითი ორგანო,—პარლამენტი, რის გამოც ხელისუფლების ორგვაროვნება, დუალიზმი წარმოიშობა. მმართველობის ასეთი ფორმა ევროპაში XVIII-XIX საუკუნეებში ჩამოყალიბდა და ხალხის მასების მძლავრ გამოხვედებს უკავშირდება. დუალისტური მონარქია ბურჟუაზიასა და ჯერ კიდევ ძლიერ თავადაზნაურობას შორის არსებული დაპირისპირების კომპრომისის გზით მოხსნის შედეგია. მონარქია გამოხატავდა თავადაზნაურობის ინტერესებს, ხოლო პარლამენტი, უპირველესად, ბურჟუაზიის, უპირველესად იმიტომ, რომ პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობა იზღუდებოდა ქონებრივი თუ სხვა სახის ცენზებით. დუალისტურ მონარქიაში, განსხვავებით პარლამენტურისაგან მონარქის უფლებები ნაკლებად იზღუდება, უფრო ზუსტად, ეს შეზღუდვა ფორმალური ხასიათისაა, დემოკრატიული ინსტიტუტების განუვითარებლობის გამო, ფაქტობრივად მონარქი ინარჩუნებს ისეთი ზოგადი ხასიათის უფლებამოსილებებს, რომელთა გამოც იგი სახელმწიფოს პოლიტიკური სისტემის ცენტრში იმყოფება. მართალია, კანონმდებლობის სფეროში უპირატესობა პარლამენტს ენიჭება, მაგრამ მონარქს აქვს აბსოლუტური (ზოგ ქვეყნებში შეფარდებითი) ვეტოს (*ვეტო ნიშნავს აკრძალვას, რომელსაც აწესებს ხელისუფლების ერთი ორგანო მეორის გადაწყვეტილებაზე*) უფლება, ამას-

თანავე, მონარქს შეუძლია გამოსცეს კანონის ძალის მქონე საგანგებო ხასიათის სამართლებრივი აქტები, რომლებიც არ საჭიროებენ პარლამენტისაგან მხარდაჭერას. რიგ შემთხვევებში მონარქს აქვს უფლება დაითხოვოს პარლამენტიც კი, რის შედეგადაც დუალისტური მონარქია გადაიქცევა აბსოლუტური მონარქიად. მაგალითისათვის, იორდანიაში 1974 წელს დათხოვნილი იქნა პარლამენტი, მხოლოდ 1989 წელს გახდა შესაძლებელი მორიგი საპარლამენტო არჩევნები. მონარქს, დუალისტურ მონარქიაში, შეუძლია საკუთარი შეხედულებებით დანიშნოს მთავრობა, რომელიც მხოლოდ მის წინაშე იქნება პასუხისმგებელი. თუმცა, ხშირად მთავრობა ფორმალურად მაინც ორმაგ პასუხისმგებლობას ატარებს მონარქისა და პარლამენტის წინაშე. დუალისტურ სახელმწიფოში მონარქს, შეუძლია დამოუკიდებლად განახორციელოს აღმასრულებელი ხელისუფლება. პარლამენტის მიერ აღმასრულებელ ხელისუფლებაზე ზემოქმედების ერთადერთ საშუალებას წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცება, რომელიც საკმაოდ ძლიერი ზემოქმედების საშუალებაა, მაგრამ გამოიყენება წელიწადში მხოლოდ ერთხელ. დუალისტური მონარქიები არსებობდა გერმანიაში, თურქეთში, ტაილანდში, და სხვა. დღეისათვის კონსტიტუციური ნორმებით დადგენილი წმინდა სახის დუალისტური სახელმწიფოები პრაქტიკულად არ არსებობენ. სპეციალისტები დუალისტურ სახელმწიფოსთან ახლოს მდგომ სახელმწიფოებად განიხილავენ მაროკოს, ტაილანდს, მალაიზიას. კონსტიტუციური ცვლილებებით გაუქმებული იქნა დუალისტური მონარქიები ნეპალსა (1980წ.), და იორდანიაში (1991წ.) და ისინი საპარლამენტო მონარქიებად გარდაიქმნენ. მიუხედავად ამისა, ნეპალი და იორდანია თავისი სამართ-

ლებრივი საფუძვლებით ფაქტობრივად, დუალისტურ მონარქიებად რჩებიან, იორდანის კონსტიტუციის თანახმად, მთავრობა პარლამენტის წინაშეა პასუხისმგებელი, მაგრამ პარლამენტის ყველა აქტი, მათ შორის, მთავრობისადმი უნდობლობის ვოტუმის (მთავრობის პოლიტიკური ხაზის არ მოწონება პარლამენტის მიერ) გამოცხადება, მეფის მიერ უნდა იყოს დადასტურებული. მაროკოში, იორდანისაგან განსხვავებით, მთავრობის უნდობლობის ვოტუმი არ საჭიროებს მეფისაგან მოწონებას, მაგრამ მთავრობა პარლამენტთან ერთად პასუხისმგებელია მონარქის წინაშეც (59.144).

საპარლამენტო მონარქია კონსტიტუციური მონარქიის უფრო პროგრესიული სახეა, ხელისუფლების დაყოფის უფრო მაღალი და განვითარებული საფეხურია დუალისტურ მონარქიასთან შედარებით. აქ მონარქის უფლებები გაცილებით უფროა შეზღუდული კონსტიტუციით, რომლის შეცვლის უფლებაც მონარქს არ აქვს. სამაგიეროდ გაზრდილია პარლამენტისა და მთავრობის უფლებები. პარლამენტი, როგორც საკანონმდებლო ხელისუფლება, უფრო მაღალ საფეხურზეა ვიდრე აღმასრულებელი ხელისუფლება. პარლამენტის ეს უპირატესობა იმაში გამოიხატება, რომ მთავრობა, რომელსაც ჩვეულებრივ, მონარქი ნიშნავს, უნდა იმსახურებდეს პარლამენტის ნდობას. თუ პარლამენტის უმრავლესობა უნდობლობას უცხადებს მთავრობას, იგი უნდა გადადგეს. მთავრობის მეთაური იმ პარტიის ლიდერია, რომელსაც პარლამენტში უმრავლესობა ჰყავს. იმ შემთხვევაში თუ ვერცერთმა პარტიამ, პარტიათა კოალიციამ ვერ მოახერხა მთავრობის შექმნა, მონარქს შეუძლია თვითონ დანიშნოს პრემიერ-მინისტრი. საპარლამენტო მონარქიული

მმართველობა, ასე ვთქვათ, “კლასიკური ფორმით” მოქმედებს მაღალგანვითარებულ ქვეყნებში. სახელმწიფო მექანიზმი ასეთ ქვეყნებში ეყრდნობა ხელისუფლების დანაწილების პრინციპს პარლამენტის უმაღლესობის აღიარებით, ფუნქციობს დემოკრატიული პოლიტიკური რეჟიმი.

მონარქი, საპარლამენტო მონარქიის პირობებში, „მეფობს, მაგრამ ვერ მართავს“. პარლამენტის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე შეფარდებითი ვეტოს დადების უფლებას იყენებს მთავრობის მითითებით. რიგ საპარლამენტო მონარქიებში (ნორვეგია, შვეცია, იაპონია) მონარქს არც აქვს პარლამენტის მიერ მიღებულ კანონებზე ვეტოს უფლება. იგი ფაქტობრივად დამოუკიდებლად ვერ მოქმედებს და მის მიერ მიღებულ აქტებს ამზადებს მთავრობა. ეს აქტები იურიდიულ ძალას იძენენ იმ შემთხვევაში, თუ პრემიერ-მინისტრის ან რომელიმე სხვა მინისტრის მიერ იქნება „გამაგრებული“. შესაბამისად ეს უკანასკნელი კისრულობენ როგორც პოლიტიკურ, ასევე იურიდიულ პასუხისმგებლობას მონარქის მიერ გამოცემულ აქტებზე, ვინაიდან მონარქი არ შეიძლება ცდებოდეს. აღნიშნულ წესს კონტრასიგნატურის წესს, *კონტრასიგნაციას უწოდებენ*. ფაქტობრივად, კონტრასიგნატურა მეფის ხელისუფლების შეზღუდვის ეფექტური საშუალებაა, იგი მე-17 საუკუნის დასაწყისში ინგლისში იქნა შემოღებული.

კონტრასიგნატურასთან ერთად, კონსტიტუციური მონარქიის ერთერთ მახასიათებელ ინსტიტუტს ე. წ. *ცივილური ფურცელი* წარმოადგენს, იგი მონარქიის შესანახად დაწესებული ყოველწლიური თანხის ოდენობას აღნიშნავს. ცივილური ფურცლით გათვალისწინებული თანხის რაოდენობა,

ყოველი ახალი მონარქის კურთხევისას კანონით ხელახლა დგინდება.

მიუხედავად იმისა, რომ მონარქი საპარლამენტო მონარქიებში შეზღუდულია, იგი მხოლოდ დეკორაციული ფიგურა როდია. მონარქი წარმართავს მთავრობის საქმიანობას პრემიერ-მინისტრთან ერთად. პირდაპირ ერევა მთავრობის ფორმირების პროცესში და მისი პოლიტიკის განსაზღვრაში, ხელს აწერს საკანონმდებლო აქტებს (დანია, ბელგია, ჰოლანდია). დიდ ბრიტანეთში, მონარქს, მისი უფლებრივი არსენალი საშუალებას აძლევს აქტიურად ჩაერიოს სახელმწიფოს მართვის პროცესში, მას შეუძლია დაითხოვოს პარლამენტი და გამოიყენოს ვეტოს უფლება. აქ მონარქი ქვეყნის ეკლესიის მეთაურიცაა და შეიარაღებული ძალების მთავარსარდალიც, მას შეუძლია ომის გამოცხადება და ზავის დადება, ხელშეკრულების რატიფიკაცია (*სახელმწიფოს უმაღლესი ორგანოს მიერ ამ სახელმწიფოს სახელით დადებული მნიშვნელოვანი საერთაშორისო ხელშეკრულების დამტკიცება*) და დენონსაცია (*სახელმწიფოს განცხადება ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულების შეწყვეტისა ან მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებიდან გასვლის შესახებ*), ლორდთა პალატის წევრთა და დიპლომატიური წარმომადგენლების, არმიის და ფლოტის გენერალიტეტის დანიშვნა და სხვა (16.110-111).

თანამედროვე მსოფლიოში მონარქიული სახელმწიფოების დიდი უმრავლესობა საპარლამენტო მონარქიის სახით არსებობს (დიდი ბრიტანეთი, ბელგია, ესპანეთი, ჰოლანდია, ნორვეგია, იაპონია და სხვა).

აბსოლუტური და დუალისტური მონარქიების მსგავსად, საპარლამენტო მონარქიაშიც რამდენიმე ნაირსახეობას

განასხვავებენ. მაგალითად, ტაილანდის პარლამენტში დიდ როლს თამაშობენ სამხედროები, მათ მინიჭებული აქვთ მნიშვნელოვანი უფლებები, ფაქტობრივად, ისინი მართავენ ქვეყანას, იყენებენ მონარქის სახელსაც კი, რის გამოც ასეთ მმართველობას *მილიტარისტულ-საპარლამენტო მონარქიას* უწოდებენ. ასევე, საპარლამენტო მონარქიის სახესხვაობას წარმოადგენს დიდი ბრიტანეთის თანამეგობრობის ქვეყნები, რომლებშიც დიდი ბრიტანეთის მონარქის მიერ დანიშნული გენერალ-გუბერნატორი მეთაურობს, ასეთ მართვა-გამგეობას *გაშუალეულ საპარლამენტო მონარქიას* უწოდებენ.

თანამედროვე მონარქიებმა მნიშვნელოვანი მოდიფიკაცია განიცადეს, იზღუდება მონარქის ხელისუფლება. განვითარებულ ქვეყნებში მონარქის ინსტიტუტები უხელისუფლო ინსტიტუტებად იქცნენ. განვითარებადი ქვეყნების მონარქიები ცდილობენ შეალამაზონ თავიანთი ქვეყნის კონსტიტუციები თანამედროვე ტერმინებით, მაგალითად, მაროკოს 1972 წლის კონსტიტუციაში საუბარია „დემოკრატიულ და სოციალურ“ მონარქიაზე.

მიუთითებენ მონარქიული მართვა-გამგეობის შემდეგ ღირსებებზე:

- მონარქი ერისა და ქვეყნის ერთიანობის სიმბოლოა, სიმბოლო, რომელიც არ არის დამოკიდებული პოლიტიკურ ცვლილებებზე და სახელმწიფოს სიმტკიცის გამოსატყულებაა, ეს კი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია სეპარატისტული და ცენტრიდანული ტენდენციების თავიდან ასაცილებლად;

- მონარქი დგას პოლიტიკურ და პარტიულ უთანხმოებებზე მაღლა;

- მონარქიული მართვა-გამგეობა უზრუნველყოფს ქვეყნის საშინაო და საგარეო კურსის მემკვიდრეობითობას;

- მონარქიული მართვა-გამგეობის შემთხვევაში შესაძლებელია სახელმწიფოს მომავალი მეთაურის მიზანმიმართული მომზადება სახელმწიფოს მართვისათვის;

- მონარქის უვადო უფლებამოსილება და ხელისუფლების მემკვიდრეობით გადაცემა „აიძულებს“ მონარქს იფიქროს ქვეყნის განვითარების ხანგრძლივ პერსპექტივებზე.

მონარქიული მართვა-გამგეობის ნაკლად თვლიან:

- მონარქის გონებრივი თუ ფსიქიკური არასრულყოფილების შემთხვევაში ძალზე ძნელია სახელმწიფო მეთაურის პოსტზე მისი შეცვლის განხორციელება;

- ერთპიროვნული მმართველობის პირობებში ძალიან დიდია ხელისუფლების უზურპაციის ალბათობა;

- მონარქის იურიდიული პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება ფაქტობრივად, მის ხელისუფლებას უკონტროლოს ხდის;

- დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული მონარქიის შენახვა (ცნობისათვის, დიდი ბრიტანეთის მონარქია ქვეყანას მიმდინარე წელს 36,7 მილიონი გირვანქა სტერლინგი, დაახლოებით 53,7 მილიონი დოლარი უჯდება, რაც ბრიტანეთის ყოველ მცხოვრებზე 60 პენსს შეადგენს);

- თანამედროვე ქვეყნების უმრავლესობამ ისტორიული ევოლუციის პროცესში უარი თქვა მმართველობის მონარქიულ ფორმაზე (51.48-49).

2.3. რესპუბლიკური მმართველობა. მსოფლიოს სახელმწიფოთა უმრავლესობა (140-ზე მეტი) *რესპუბლიკური მართვა-გამგეობის* ფორმას მისდევს. სიტყვა „რესპუბლიკა“ მომდინარეობს ლათინური ენიდან და ქართულად საზოგად-

დღებრივ საქმეს ნიშნავს. იგი მმართველობის ისეთი ფორმაა, რომლის დროსაც სახელმწიფო ხელისუფლებას ანხორციელებს ხალხის მიერ გარკვეული ვადით არჩეული წარმომადგენლობითი ორგანო (პარლამენტი, კონგრესი, უმაღლესი საბჭო და სხვა) ან ამომრჩევლებისაგან თუ წარმომადგენლობითი ორგანოების მიერ არჩეული სახელმწიფოს მეთაური – პრეზიდენტი.

რესპუბლიკური მართვა-გამგეობა დემოკრატიული ფორმის მმართველობაა იმ გაგებით, რომ ხელისუფლების ყველა შტო, მისი ყველა უმაღლესი ორგანო ხალხის მიერაა არჩეული და მოქალაქეებს აქვთ პირადი და პოლიტიკური უფლებები. რესპუბლიკური მმართველობა გულისხმობს საზოგადოების მონაწილეობას ხელისუფლებაში, ამიტომ რესპუბლიკა შეუძლებელია ჩამოყალიბდეს იქ, სადაც საზოგადოება, ყოველ შემთხვევაში, მისი მნიშვნელოვანი ნაწილი, არაა პოლიტიკურად მომწიფებული, არ აქვს ათვისებული და გამომუშავებული სახელმწიფოს ბედისა და პოლიტიკისადმი პასუხისმგებლობის გრძნობა (61.52).

რესპუბლიკური მართვა-გამგეობა ხასიათდება შემდეგი ნიშნებით:

- სახელმწიფოს მეთაურისა და სხვა უმაღლესი სახელმწიფო ორგანოების არჩევითობა;
- სახელმწიფოს მეთაურის და სხვა სახელმწიფო ორგანოების შეზღუდვა გარკვეული ვადით;
- სახელმწიფო მეთაურის პასუხისმგებლობა, კანონით განსაზღვრულ შემთხვევაში, განსაკუთრებული ფორმით;
- სახელმწიფო ხელისუფლების ერთადერთ წყაროდ ხალხის გამოცხადება.

პრეზიდენტის არჩევა რესპუბლიკური მართვა-გამგეობის მქონე ქვეყნებში სხვადასხვანაირად ხორციელდება: მას ან საარჩევნო უფლების მქონე მოქალაქეები ირჩევენ (საქართველო, რუსეთი, ბრაზილია, ეგვიპტე და სხვა); ან ამომრჩეველთა განსაკუთრებული კოლეგია (გერმანია, იტალია, აშშ; ინდოეთი და სხვა) ან პარლამენტი (თურქეთი, ისრაელი, და სხვა). პრეზიდენტად შეიძლება აირჩეს ნებისმიერი მოქალაქე, რომელიც აკმაყოფილებს მოცემული ქვეყნის კონსტიტუციისა თუ საარჩევნო კანონმდებლობის მოთხოვნებს. ეს მოთხოვნები ძირითადად ეხება დაბადებით მოქალაქეობას, ასაკს, მინიმალურ ასაკად ძირითადად მიჩნეულია 35 წელი, ზოგჯერ 45, 50 წელიც. ნამიბიაში განსაზღვრულია მაქსიმალური ასაკიც – 65 წელი.

პრეზიდენტი გარკვეული ვადით ირჩევა. ეს ვადა სხვადასხვა ქვეყნებში მერყეობს 3 დან 7 წლამდე.

მმართველობის რესპუბლიკური ფორმა ძირითადად ორი სახისაა – *საპრეზიდენტო რესპუბლიკა (ხშირად მას დუალისტურ რესპუბლიკასაც უწოდებენ) და საპარლამენტო რესპუბლიკა.*

ა. საპრეზიდენტო რესპუბლიკა. საპრეზიდენტო რესპუბლიკაში პრეზიდენტს წამყვანი როლი უჭირავს სახელმწიფო მექანიზმში. იგი ერთდროულად არის სახელმწიფოსა და აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაური (განსხვავებით საპარლამენტო და ნახევრადსაპრეზიდენტო რესპუბლიკისაგან, სადაც პრეზიდენტი მხოლოდ სახელმწიფოს მეთაურია). საპრეზიდენტო რესპუბლიკაში პრეზიდენტს ირჩევს საარჩევნო უფლების მქონე მოსახლეობა უშუალოდ, პირდაპირი გზით (არსებობს გამონაკლისიც აშშ პრეზიდენტს არაპირდაპირი, შუალობითი გზით ირჩევენ) ირჩევს და იგი

ან ითავსებს სახელმწიფოსა და მთავრობის მეთაურის უფლებამოსილებებს ან მონაწილეობას დებულობს მთავრობის ჩამოყალიბებაში და ნიშნავს მთავრობის მეთაურს. საპრეზიდენტო რესპუბლიკის დროს ხდება ხელისუფლების მკაცრი გამიჯნვა საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებად. კანონშემოქმედებით საქმიანობას ეწევა პარლამენტი, ქვეყანას მართავს პრეზიდენტი, მის დაქვემდებარებაში მყოფი მინისტრების მეშვეობით. იგი განსაზღვრავს მთავრობის პოლიტიკას. ზოგ ქვეყნებში მინისტრები ქმნიან მინისტრთა საბჭოს, პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით, მაგრამ ამ შემთხვევაშიც ფაქტობრივად, ხშირად იურიდიულადაც ქვეყანას მართავს პრეზიდენტი. შესაძლებელია არსებობდეს მინისტრთა კაბინეტი, რომელიც პრეზიდენტის სათათბირო ორგანოა (აშშ). პრემიერ-მინისტრსა და მინისტრებს თავისი შეხედულებით ნიშნავს პრეზიდენტი, მაგრამ პარლამენტმა უნდა დაამტკიცოს ისინი. მინისტრები პასუხს აგებენ პრეზიდენტის წინაშე, პარლამენტი ვერ ათავისუფლებს მათ უნდობლობის ვოტუმით. საპრეზიდენტო რესპუბლიკაში ქვეყანას მართავს ის პარტია, რომელმაც გაიმარჯვა საპრეზიდენტო არჩევნებში. საპრეზიდენტო რესპუბლიკაში პრეზიდენტს ფართო უფლებამოსილებანი აქვს: აცხადებს საგანგებო მდგომარეობას; ამტკიცებს კანონებს ხელმოწერით; თავმჯდომარეობს მთავრობის სხდომებს და სხვა. საპრეზიდენტო რესპუბლიკაში პრეზიდენტს არა აქვს პარლამენტის დათხოვნის უფლება. მას შეუძლია გამოიყენოს შეყოვნებითი (შეფარდებითი, სუსპენსიური) ვეტო (*სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოს თუ თანამდებობის პირის აქტი, რომელიც აჩერებს ან აყოვნებს კანონის ძალაში შესვლას*) პარლამენტის მიერ მიღებულ კანონებზე.

რომლის გადასაღებად აუცილებელია პარლამენტის აბსოლუტური უმრავლესობა.

პარლამენტს საპრეზიდენტო რესპუბლიკაში შეუძლია რატიფიცირება არ გაუკეთოს პრეზიდენტის მიერ დადებულ საერთაშორისო ხელშეკრულებებს, ასევე შეუძლია მხარი არ დაუჭიროს პრეზიდენტის მიერ წარმოდგენილ კანდიდატებს. პრეზიდენტსა და პარლამენტს შორის ურთიერთობა შეკავება-გაწონასწორების პრინციპზეა აგებული. აშშ-ში პრეზიდენტს პოლიტიკური პასუხისმგებლობა აკისრია კონგრესის წინაშე, რომელსაც უფლება აქვს “სახელმწიფო დაღატაკების, მკვრელისაგან, სხვა მნიშვნელოვანი დანაშაულისათვის” თანამდებობიდან გადააყენოს იგი *იმპიჩმენტის (მაღალი თანამდებობის პირის თანამდებობიდან გადაყენების განსაკუთრებული წესი)* საფუძველზე.

სასამართლო ხელისუფლება აკონტროლებს, როგორც პრეზიდენტის, ასევე პარლამენტის აქტების კონსტიტუციურობას. თანამედროვე მსოფლიოში რესპუბლიკების უმრავლესობა საპრეზიდენტოა (აშშ, ბრაზილია, მექსიკა, ფილიპინები და სხვა.)

საპრეზიდენტო რესპუბლიკას ახასიათებს პრეზიდენტის ავტორიტეტის გააბსოლუტურების ტენდენცია, რაც ამახინჯებს საპრეზიდენტო რესპუბლიკის არსს და ვდებულობთ “სუპერსაპრეზიდენტო” და “საპრეზიდენტო მონოკრატულ” რესპუბლიკებს. *სუპერსაპრეზიდენტო რესპუბლიკა* ისეთი რესპუბლიკაა, სადაც პარლამენტი პრეზიდენტის კონტროლს ექვემდებარება. თითქმის მთელი რეალური ხელისუფლება პრეზიდენტის ხელშია და ეს უკანასკნელი მოკლებულია პარლამენტისა და სასამართლო ორგანოების მხრიდან კონტროლს, ანუ იურიდიულად და ფაქტობრივადც პრეზი-

დენტი ნახევრად დიქტატორული უფლებამოსილებებითაა აღჭურვილი, იგი არის სახელმწიფოს მეთაურიც, მთავრობის მეთაურიც და მმართველი პარტიის ლიდერიც. “სუპერსაპრეზიდენტი” რესპუბლიკაში პრაქტიკულად არ არსებობს პრეზიდენტის პოსტიდან გადაყენების კონსტიტუციური მექანიზმი. “სუპერსაპრეზიდენტი” მმართველობით ხასიათდებოდა ლათინური ამერიკის ქვეყნები, რაც მათი არასტაბილური პოლიტიკური ცხოვრებითაც იყო ნაკარნახევი. ცნობილია, რომ ლათინური ამერიკის ქვეყნებში სხვადასხვა მონაცემებით 700-მდე სამხედრო გადატრიალება ან გადატრიალების მცდელობა განხორციელდა. უკანასკნელი ათი, თხუთმეტი წლის განმავლობაში ამ ქვეყნებში სიტუაცია მნიშვნელოვნად შეიცვალა, გაცილებით სტაბილური გახდა პოლიტიკური ვითარება. სუპერსაპრეზიდენტი რესპუბლიკებში, კონსტიტუციები ხშირად პრეზიდენტის სასარგებლოდ განამტკიცებენ ისეთ შეუზღუდავ უფლებამოსილებებს, როგორიცაა: პარლამენტის დათხოვნის უფლება; პრეზიდენტის შეხედულებისამებრ საგანგებო ან საომარი მდგომარეობის გამოცხადების უფლება; კანონის ძალის მქონე დეკრეტების გამოცემის უფლება; ერთპიროვნულად ადგილობრივი ადმინისტრაციის ხელმძღვანელების, მოსამართლეების დანიშვნისა და გადაყენების უფლება და ა.შ. სპეციალისტები „სუპერსაპრეზიდენტი“ რესპუბლიკად თვლიან ირანს, სირიას, და სხვა (11. 192).

მიუხედავად იმისა, რომ რესპუბლიკური მართვა-გამგეობა თავისი არსით დემოკრატიულ სახელმწიფოს გულისხმობს, არსებობს გამონაკლისებიც – ტოტალიტარული სისტემის მქონე რესპუბლიკური სახელმწიფოები, რომლებიც მონარქიული მმართველობის ფორმის ნიშნებს ატარებენ –

ჰყავთ უცვლელი სახელმწიფოს მეთაური. ასეთ საპრეზიდენტო რესპუბლიკებს *საპრეზიდენტო-მონოკრატიულ* რესპუბლიკებს უწოდებენ, განსხვავებით “სუპერსაპრეზიდენტო” რესპუბლიკებისაგან, სადაც კონსტიტუცია ითვალისწინებს პრეზიდენტის პერიოდულ არჩევნებს. ასეთი მმართველობის დროს გაბატონებულია ერთპარტიული სისტემა და კონსტიტუცია ადგენს სიცოცხლის განმავლობაში პრეზიდენტის ან სახელმწიფოს ხელმძღვანელის თანამდებობას. როგორც ჩანს ამგვარ მმართველობას საფუძველი ჩაეყარა ინდონეზიაში პრეზიდენტ სუკარნოს დროს, რომელმაც თავი უცვლელ პრეზიდენტად გამოაცხადა. მსგავსი ფაქტი დაფიქსირდა იუგოსლავიაშიც, სადაც 1963 წლის კონსტიტუციის მიხედვით, იუგოსლავიის პირველი პრეზიდენტი ბროზ ტიტო გადარჩევას არ ექვემდებარებოდა, მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში სიცოცხლის ბოლომდე პრეზიდენტებად “იკურთხეს” თავი ფილიპინების, მალავის, უგანდის, ტუნისის და სხვა პრეზიდენტებმა, ყველა მათგანი შეიარაღებული აჯანყებების გზით იქნენ გადაყენებულნი, გარდა ტუნისის პრეზიდენტისა, რომელიც სამედიცინო დასკვნის საფუძველზე, კონსტიტუციური გზით შეიცვალა. კორეის სახალხო დემოკრატიულ რესპუბლიკაში კიმ ირ სენმა, ასევე უცვლელ პრეზიდენტად გამოაცხადა თავი და სიცოცხლეშივე დანიშნა შვილი საკუთარ მემკვიდრედ.

ბ. საპარლამენტო რესპუბლიკა. *საპარლამენტო რესპუბლიკა, რესპუბლიკური მმართველობის ისეთი ფორმაა, რომლის დროსაც სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს პარლამენტი ასრულებს.* საპარლამენტო რესპუბლიკისათვის დამახასიათებელია პარლამენტის უმაღლესობა ხელისუფლების სისტემაში. ეს უმაღლესობა გამოიხატება

საპარლამენტო რესპუბლიკის ისეთ მთავარ თავისებურებაში, როგორცაა მთავრობის ფორმირების საპარლამენტო წესი და პარლამენტის წინაშე მთავრობის პოლიტიკური პასუხისმგებლობა. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ მთავრობის პასუხისმგებლობა სოლიდარული ხასიათისაა, რადგანაც მთავრობის ერთი წევრისადმი, განსაკუთრებით მისი თავმჯდომარისადმი, უნდობლობა, მთელი მთავრობის გადადგომას იწვევს (35.155).

პარლამენტი, საპარლამენტო რესპუბლიკაში, საკანონმდებლო, საბიუჯეტო და მთავრობის საქმიანობაზე კონტროლთან ერთად, ფართო უფლებამოსილებებს ფლობს სახელმწიფოს უმაღლესი ორგანოების ჩამოყალიბების საქმეში. იგი კანონების მიღებასთან ერთად, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მთავრობისა და სახელმწიფოს მმართველობის სხვა ორგანოების ფორმირებაზე. მთავრობის შემადგენლობა განისაზღვრება საპარლამენტო უმრავლესობით. თუ საპარლამენტო რესპუბლიკას არ ჰყავს პრეზიდენტი, მაშინ პარლამენტი თვითონ ამტკიცებს მთავრობის თავმჯდომარეს და მთავრობის თავმჯდომარის წარდგინებით მთავრობის სრულ შემადგენლობას, ან ამტკიცებს მთავრობის თავმჯდომარეს, რომელიც თვითონ აყალიბებს მთავრობას, ხოლო იმ შემთხვევაში, როცა საპარლამენტო რესპუბლიკას ჰყავს პრეზიდენტი, მაშინ პრეზიდენტი ამტკიცებს მთავრობის თავმჯდომარეს, მაგრამ ეს მხოლოდ ფორმალური აქტია, რადგან მთავრობის თავმჯდომარის კანდიდატურა საპარლამენტო უმრავლესობისაგან მომდინარეობს.

სახელმწიფოს მეთაურს, რომელსაც საპარლამენტო რესპუბლიკაში ირჩევს პარლამენტი ან ამომრჩეველთა სპეციალური კოლეგია (არსებობს გამონაკლისები, მაგალითად,

ავსტრია და ბულგარეთი საპარლამენტო რესპუბლიკებია, მაგრამ პრეზიდენტს უშუალოდ მოსახლეობა ირჩევს პირდაპირი არჩევნებით), ფართო უფლებამოსილება აქვს: შეუძლია დაითხოვოს პარლამენტი; გამოაქვეყნოს კანონები; გამოსცეს ბრძანებულებები; დანიშნოს მთავრობის ხელმძღვანელი; იყოს შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი და სხვა. ასეთი ფართო უფლებამოსილებების მიუხედავად, საპარლამენტო რესპუბლიკაში პრეზიდენტის უფლებები მნიშვნელოვნად შესუსტებულია საპრეზიდენტო რესპუბლიკასთან შედარებით. სამაგალითოდ შეიძლება მოვიტანოთ ინდოეთი, სადაც 1949 წლის კონსტიტუციის ერთ-ერთი შესწორებით, პრეზიდენტი ვალდებულია დაჰყვეს მთავრობის რჩევებს. მთავრობა საპარლამენტო რესპუბლიკაში, მიუხედავად იმისა, რომ მთავრობის ხელმძღვანელი (პრემიერ-მინისტრი, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე და სხვა) ინიშნება პრეზიდენტის მიერ, პასუხისმგებელია პარლამენტის წინაშე. პარლამენტი შეუძლია უნდობლობა გამოუცხადოს მთავრობას, რის შემდეგაც მთავრობა ან გადადგება, ან სახელმწიფოს მეთაურის საშუალებით აღწევს პარლამენტის დათხოვნას და ახალი საპარლამენტო არჩევნების დანიშნავს. პრეზიდენტი, საპარლამენტო რესპუბლიკაში, არ წარმოადგენს აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურს, იგი სახელმწიფოს მეთაურია. წმინდა საპარლამენტო რესპუბლიკები საკმაოდ ცოტაა. ასეთი მოდელი არსებობს გერმანიაში, იტალიაში, უნგრეთში, ჩეხეთში, ლატვიაში, სლოვაკეთში და სხვა.

გ. შერეული მართვა—გამგეობა. თანამედროვე მსოფლიოში უფრო და უფრო ფეხს იკიდებს მმართველობის შერეული ფორმა, რომელიც აერთიანებს, როგორც საპრეზიდენტო, ისე

საპარლამენტო რესპუბლიკის ღირსებებს. საპრეზიდენტო რესპუბლიკის დადებით მომენტად მიჩნეულია მთავრობის სტაბილურობა, ხოლო საპარლამენტო რესპუბლიკის დადებით მომენტად კი პარლამენტის მიერ მთავრობის კონტროლი. შერეულ მართვა-გამგეობას ხშირად ნახევრადსაპარლამენტო, ნახევრადსაპრეზიდენტო ან საპრეზიდენტო-საპარლამენტო რესპუბლიკებსაც უწოდებენ.

ნახევრადსაპრეზიდენტო რესპუბლიკა პირველად შემოღებული იქნა საფრანგეთში 1958 წელს დე გოლის ინიციატივით. ამ რეფორმის მიზანი ქვეანაში არსებული პარლამენტარიზმის ტრადიციების შენარჩუნებით პრეზიდენტის ხელისუფლების განმტკიცება იყო.

სამართლებრივი თვალსაზრისით, ნახევრადსაპრეზიდენტო რეჟიმი არის საპარლამენტო რეჟიმი ორმაგი აღმასრულებელი რგოლით, ხოლო პრაქტიკული თვალსაზრისით, ნახევრადსაპრეზიდენტო რეჟიმი ერთობ მოქნილი რეჟიმი, რადგან მას შეუძლია იმოქმედოს პოლიტიკურ გარემოებათა შესაბამისად, როგორც საპრეზიდენტო მაჟორიტარულმა რეჟიმმა (25.22-23).

შერეული (ნახევრადსაპრეზიდენტო) მართვა-გამგეობა ხასიათდება შემდეგი ნიშნებით:

- პრეზიდენტს ირჩევს უშუალოდ ამომრჩეველი, რითაც იგი პარლამენტისაგან დამოუკიდებლობას ინარჩუნებს;
- ვიცე-პრემიერებს და მინისტრებს ნიშნავს პრეზიდენტი თავისი შეხედულებით, პარტიული ძალების პარლამენტში განლაგების მიუხედავად. პრემიერ-მინისტრსაც ნიშნავს პრეზიდენტი (საფრანგეთი, ყაზახეთი), მაგრამ პარლამენტს აქვს უფლება უნდობლობა გამოუცხადოს პრეზიდენტს და შესა-

ბამისად მთავრობას. ზოგ ქვეყანაში (უკრაინა) პრემიერ-მინისტრს ნიშნავს პრეზიდენტი პარლამენტის თანხმობით;

- მთავრობა პასუხისმგებელია პრეზიდენტის წინაშე, რომელსაც შეუძლია თავისი შეხედულებით გაანთავისუფლოს პრემიერ-მინისტრი, ცალკეული მინისტრები, ან დაითხოვოს მთელი მთავრობა;

- მთავრობა პასუხისმგებელია აგრეთვე პარლამენტის წინაშეც. პარლამენტს შეუძლია უნდობლობა გამოუცხადოს მთავრობას;

- პარლამენტის (ან მისი ქვედა პალატის) თანხმობაა აუცილებელი პრეზიდენტის მიერ შემოთავაზებული პრემიერ-მინისტრობის კანდიდატის დანიშვნაზე.

ნახევრადსაპრეზიდენტო რესპუბლიკაში პრეზიდენტის ინსტიტუტი განსაკუთრებულ სტატუსს იძენს, იგი თითქმის გამოსულია ხელისუფლების დანაწილების ტრადიციადან და არ მიეკუთვნება მის არცერთ შტოს. ზოგი ქვეყნის (საფრანგეთი, რუმინეთი და სხვა) კონსტიტუციაში გატარებულია იდეა პრეზიდენტის ხელისუფლების, როგორც საარბიტრაჟო ხელისუფლების შესახებ (59.155).

XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე რიგ სახელმწიფოებში სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების არატრადიციულმა ორგანიზაციამ აჩვენა, რომ მმართველობის ფორმების კლასიკურ სქემებსა და კლასიფიკაციაში ვერ “ჯდება” თანამედროვე სახელმწიფოთა ერთი ნაწილი. იქმნება ახალი, არატრადიციული – ჰიბრიდული თუ შერეული მმართველობის ფორმები. ჰიბრიდული მმართველობა გულისხმობს მონარქიული და რესპუბლიკური მმართველობის ნიშნების შერწყმას, ხოლო შერეული საპრეზიდენტო და საპარლამენტო მმართველობის ნიშნების შერწყმას. მმართველობის ასეთი ფორმების შექმნა, მკვლევართა აზრით, ხშირ

შემთხვევებში პოზიტიური მოვლენაა (60.109). ისინი ამდაგვარი მოდიფიკაციის შემდეგ მიზეზებზე მიუთითებენ:

- სახელმწიფოს მართვისათვის მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ხელისუფლების დანაწილება და შეკავება-გაწონასწორება, არამედ სახელმწიფოს ორგანოთა ურთიერთზემოქმედებაც, რაც მმართველობის შერეული ფორმის პირობებში ძლიერდება. თუმცა, ეს გაუმჯობესება მიმდინარეობს ან პარლამენტის ან პრეზიდენტის უფლებამოსილების შესუსტებით, ანაც მთავრობის ერთდროულად პარლამენტსა და პრეზიდენტზე დაქვემდებარებით;

- მმართველობის „წმინდა“ ფორმებს ახასიათებს გარკვეული ნაკლოვანებები. კერძოდ, საპრეზიდენტო რესპუბლიკას აქვს ტენდენცია ავტორიტარიზმისაკენ, სუპერსაპრეზიდენტო რესპუბლიკისაკენ, ხოლო საპარლამენტო რესპუბლიკა ხასიათდება მთავრობის არასტაბილურობით, ხშირი სამთავრობო კრიზისებითა და გადადგომებით. თუმცა, ამდაგვარი რამ მხოლოდ საპარლამენტო რესპუბლიკაში როდი ხდება. მაგ., რუსეთში 1998-99 წწ. თვრამეტი თვის განმავლობაში ექვსი პრემიერ-მინისტრი შეიცვალა(59.155). ამგვარი ნაკლოვანებების „შესავსებად“ იქმნება შერეული ტიპის მმართველობები;

- პროგრესული პოლიტიკურ-იურიდიული იდეებისა და ინსტიტუტების გატარება-გავრცელებამ ხელი შეუწყო არატრადიციული მმართველობის ფორმების ჩამოყალიბებას. ასეთი იდეების გავრცელების შედეგად ქუვეითში, ბაჰრეინში, არაბთა გაერთიანებულ საამიროებში, საუდის არაბეთში მიღებული იქნა კონსტიტუციები (43. 241-242).

როგორც აღვნიშნეთ, ჰიბრიდული და შერეული მმართველობის ფორმები ხშირ შემთხვევებში დადებითი მოვლენაა და იწვევს სახელმწიფოს მმართველობის ეფექტურობის

ამაღლებას, მაგრამ შერეული მმართველობის ფორმის მქონე სახელმწიფოთა სახელმწიფო აღმშენებლობითი პრაქტიკიდან გამომდინარე თუ ვიმსჯელებთ, მმართველობის შერეული ფორმა ყოველთვის ვერ ახერხებს მმართველობის კლასიკური ფორმებისათვის დამახასიათებელი ნაკლოვანებების აღმოფხვრას, უფრო მეტიც, ზოგჯერ, განსაკუთრებით მაშინ, როცა რესპუბლიკური მმართველობა იძენს მონარქიული მმართველობის თვისებებს და წარმოიქმნება ე. წ. “მონარქიული რესპუბლიკა”, ასეთ პროცესს ცალსახად უარყოფითი ხასიათი აქვს. მონარქიული ანუ მონოკრატიული რესპუბლიკა მმართველობის ისეთი ფორმაა, რომლისთვისაც დამახასიათებელია სახელმწიფოს მეთაურის უფლებების არალეგიტიმურობა ან ნაკლები ლეგიტიმურობა. ასეთი შემთხვევები ხშირია სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ, როცა ამათუ იმ სახელმწიფოს დანიშნული თუ არჩეული პრეზიდენტი ან პრემიერმინისტრი ხელში ჩაიგდებს რა ხელისუფლებას, უარს ამბობს ხელისუფლების დატოვებაზე კონსტიტუციით გათვალისწინებული ვადის გასვლის შემდეგ, ანუ ახდენს ხელისუფლების უზურპაციას. მაგალითად, მობუტუ ზაირში(მაშინდელი კონგო), “შავი პოლკოვნიკები” საბერძნეთში, პინოჩეტი ჩილეში და სხვა.

ცხადია, ჯერ-ჯერობით ნაადრევია, სახელმწიფოს მართვა-გამგეობის ფორმის კლასიფიკაციაში არატიპური მმართველობის ფორმების შეტანა, მაგრამ ჩვენ რომ მოხშირებულად გვესმის ისეთი არატრადიციული ტერმინები როგორიცაა – „მონარქიული რესპუბლიკა“, „რესპუბლიკური მონარქია“ „ნახევრადსაპრეზიდენტო რესპუბლიკა“, „ნახევრადსაპარლამენტო რესპუბლიკა“, „საპრეზიდენტო-საპარლამენტო რესპუბლიკა“, „საპარლამენტო-საპრეზიდენტო რესპუბ-

ლიკა” და სხვა, ეს ფაქტია. მათი დამკვიდრება კი მომავლის საქმეა.

თუ ადრე „გლობალიზაცია” წმინდა ეკონომიკური ტერმინი გახლდათ, დღეისათვის იგი პოლიტიკაშიც შეიჭრა და სახელმწიფოს სუვერენიტეტის გარკვეული ნაწილი არასახელმწიფოებრივი და ზესახელმწიფოებრივი სუბიექტების ხელში გადავიდა, რაც სახელმწიფოს სუბსახელმწიფოებრივ, სუპრასახელმწიფოებრივ, საბაზრო და სამოქალაქო საზოგადოებრივ მმართველობაში გამოიხატა. სუბსახელმწიფოებრივ (ქვესახელმწიფოებრივ) მმართველობაში გულისხმობენ სახელმწიფოს ადმინისტრაციული ერთეულების (შტატი, რეგიონი, პროვინცია, ქალაქი და სხვა) უშუალო, ცენტრალური ხელისუფლების გვერდის ავლით დამყარებულ კავშირებს სხვა ქვეყნებთან ან მის სუბსახელმწიფოებრივ ელემენტებთან (ევროპაში 17 ქვეყნის 50-ზე მეტი რეგიონული მთავრობა უშუალო კავშირშია ერთმანეთთან, ევროპის რეგიონთა ასამბლეის მეშვეობით). ფაქტობრივად ეს კავშირები გარკვეულად მართავს შესაბამის სახელმწიფოებრივ ერთეულს.

სუპრასახელმწიფოებრივი (ზესახელმწიფოებრივი) მმართველობა გულისხმობს იმ საერთაშორისო თუ რეგიონალური ორგანიზაციების მმართველობას, რომელთა წევრსაც მოცემული სახელმწიფო წარმოადგენს.

საბაზრო გლობალურ მმართველობაში გლობალისტები ბაზრის უდიდეს როლს გულისხმობენ და მიუთითებენ, რომ სახელმწიფოს მიერ ამა თუ იმ გადაწყვეტილების მიღება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მოცემული სახელმწიფოს მიმართებაზე გლობალურ საფინანსო ბაზართან.

რაც შეეხება გლობალური სამოქალაქო საზოგადოების მმართველობას, იგი აღნიშნავს სახელმწიფოს მმართველო-

ბაში არასახელმწიფო, არასამთავრობო სექტორის მონაწილეობას. ცნობილია, რომ თანამედროვე მსოფლიოში სულ უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება „მესამე სექტორს“ – სამოქალაქო საზოგადოებას. (არასამთავრობო ორგანიზაციების როლის ზრდაზე მათი რაოდენობრივი ზრდაც მიუთითებს. თუ 1909 წლისთვის მსოფლიოში 176 არასამთავრობო ორგანიზაცია იყო, 90-იანი წლების შუა პერიოდისათვის მათმა რიცხვმა 5500-ზე მეტი შეადგინა (5.214). გლობალიზაციის პერიოდში აღმოცენებული მმართველობის აღნიშნული სახეები სახელმწიფო სუვერენიტეტის გარკვეულ ნაწილს ისაკუთრებენ, რითაც ამცირებენ სახელმწიფო სუვერენიტეტის მნიშვნელობას. სახელმწიფო სუვერენიტეტის გადანაწილება გლობალიზაციის პირობებში შექმნილ საერთაშორისო თუ სხვა არასახელმწიფოებრივ ორგანიზაციებთან, ანტიგლობალისტების აზრით, საშიშროებას უქმნის ერი – სახელმწიფოს, როგორც დამოუკიდებელი, სუვერენული სახელმწიფოს იდეას. მათი მოძრაობა სწორედ ამ იდეის დაცვისკენაა მიმართული.

ამერიკულ საპრეზიდენტო მმართველობის მოდელზე ორიენტირებული საქართველოს კონსტიტუციიდან გამომდინარე, მკვლევართა ერთი ნაწილი საქართველოს ევროპაში ერთადერთ საპრეზიდენტო რესპუბლიკად, ფაქტობრივად, კი სუპერსაპრეზიდენტო რესპუბლიკად მიიჩნევდა(18.386), მაგრამ 2004 წლის 6 თებერვლის კონსტიტუციური კანონის “საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ” შესაბამისად, საქართველო ამერიკული ტიპის საპრეზიდენტო რესპუბლიკიდან ფრანგული მოდელის შერეული მმართველობის რესპუბლიკის მოდელზე გადავიდა, რომელიც შეიცავს საპრეზიდენტო და საპარლამენტო რესპუბლიკის ნიშნებს. სპეციალისტთა აზრით, ქართულ

მოდელში აღმოცენებული შერეული რესპუბლიკა მკვეთრად პრეზიდენციალიზმისაკენ გადახრილ მოდელს წარმოადგენს (35.174).

მონარქია და რესპუბლიკა მმართველობის უძველესი ფორმებია. მე-19 საუკუნის დასწყისამდე გაბატონებული იყო მონარქიული მმართველობა, რესპუბლიკური მმართველობა გამონაკლისს წარმოადგენდა. მე-20 საუკუნიდან მოყოლებული ეს თანაფარდობა იცვლება, მცირდება მონარქიული სახელმწიფოების რიცხვი. მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში ადრინდელ მონარქიულ სახელმწიფოებში (ბულგარეთი, უნგრეთი, საბერძნეთი და სხვა) დამყარდა რესპუბლიკური მმართველობა. დღეისათვის, როგორც აღვნიშნეთ, მსოფლიოს სახელმწიფოთა უდიდესი უმრავლესობა რესპუბლიკური მართვა-გამგეობის ფორმას მისდევს.

უკანასკნელ წლებში ე.წ. “რესპუბლიკანიზაციის” პროცესი შენელდა. მონარქიული სახელმწიფოები არ ჩქარობენ მონარქიისაგან განშორებას. ზოგ ქვეყანაში მონარქიის აღდგენას ეროვნული შერიგების ერთადერთ შანსადაც განიხილავენ (ამ მიზნით აღსდგა კიდევ მონარქია 1993 წ. კამბოჯაში). მონარქია აღსდგა ესპანეთშიც. აღბანეთსა და ბრაზილიაში გაიმართა რეფერენდუმი მონარქიული მმართველობის აღსადგენად, მაგრამ შედეგები უარყოფითი იყო. მონარქიული მმართველობის აღდგენისაკენ მიმართული მოძრაობები მიმდინარეობს საფრანგეთში, იტალიაში, საბერძნეთსა და სხვა ქვეყნებში.

3. სახელმწიფოს ფორმები ტერიტორიულ-სახელმწიფოებრივი მოწყობის მიხედვით

თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში სახელმწიფოს, როგორც მთელის დამოკიდებულების აღსანიშნავად თავისსავე ნაწილებთან, სხვადასხვა ტერმინებს იყენებენ. შეიძლება შეგვხვდეს „ეროვნულ-სახელმწიფოებრივი წყობილება“, „სახელმწიფოს წყობილება“, „სახელმწიფოს ტერიტორიული მოწყობა“ და სხვა. ამ ტერმინთაგან პირველს, ძირითადად სოციალიზმის პერიოდში იყენებდნენ ფედერაციული სახელმწიფოს დასახასიათებლად, ვინაიდან მიაჩნდათ, რომ ფედერაცია და ავტონომიები შეიძლება შექმნილიყო მხოლოდ ეროვნულ-ტერიტორიული ნიშნით. რაც შეეხება მეორე ტერმინს, – „სახელმწიფოს წყობილება“, იგი გაცილებით ფართო შინაარსის შემცველია, ვიდრე ამ ტერმინის ქვეშ მოაზრებული ცნება, იგი, სახელმწიფოს მთლიან ორგანიზაციას მოიცავს. მესამე ტერმინი – „სახელმწიფოს ტერიტორიული მოწყობა“, ვიწრო მნიშვნელობის მქონე ტერმინია და მხოლოდ ტერიტორიის ორგანიზაციას გულისხმობს, მაშინ, როცა მასში ხელისუფლების ტერიტორიული ორგანიზაცია უნდა იგულისხმებოდეს, ამის გათვალისწინებით მკვლევარებს შემოაქვთ „სახელმწიფოს პოლიტიკურ-ტერიტორიული წყობილების“, ან „სახელმწიფოს ტერიტორიულ-პოლიტიკური წყობილების“ (59), ან კიდევ, „საჯარო ხელისუფლების ტერიტორიული ორგანიზაციის“ ტერმინი (39). საქართველოს კონსტიტუცია “ტერიტორიული სახელმწიფოებრივი მოწყობის” ტერმინს იყენებს

(მ.2.3.3). ზემოთ მოტანილ ტერმინთაგან ჩვენთვის საინტერესო ცნებაში ნაგულისხმევ შინაარს უფრო უკეთ ტერმინი „ტერიტორიულ-სახელმწიფოებრივი მოწყობა” გამოხატავს, აღნიშნული ტერმინი გულისხმობს სახელმწიფო ხელისუფლების სამართლებრივ ორგანიზაციას ტერიტორიული ნიშნით, ცენტრალურ და ადგილობრივ ორგანოებს შორის ხელისუფლების გადანაწილებისა და სახელმწიფოს ტერიტორიულ ერთეულებს შორის ურთიერთობის სამართლებრივ ხასიათს.

სახელმწიფო ხელისუფლების ორგანიზაციასთან მჭიდროდაა დაკავშირებული მოქალაქეთა უფლებები და თავისუფლებები, რის გამოც სახელმწიფოს ტერიტორიულ-სახელმწიფოებრივი მოწყობის სწორ და დროულ განსაზღვრაზე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული სახელმწიფოს სტაბილურობა და მისი ნაყოფიერი ფუნქციობა.

ტერიტორიულ-სახელმწიფოებრივი მოწყობის მიხედვით შეიძლება განვასხვაოთ უნიტარული და ფედერაციული სახელმწიფოები.

3.1. უნიტარული სახელმწიფო. უნიტარული სახელმწიფო ერთიანი სახელმწიფოა, იგი არ არის დაყოფილი სახელმწიფოებრივ წარმონაქმნებად. უნიტარული სახელმწიფო შედგება ადმინისტრაციულ-ტერიტორიული და/ან ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულებისაგან. სიტყვა “უნიტარული” მომდინარეობს ლათინური სიტყვიდან „unus” და ქართულად ერთს ნიშნავს. უნიტარიზმის კონცეფცია ჟან-ჟაკ რუსოს იდენტურობის თეორიიდან იღებს სათავეს და თანასწორ მოქალაქეთა საერთო ნების საფუძველზე ჩამოყალიბებულ განუყოფელ, დაუნაწილებელ, ერთიან სახელმწიფოს გულისხმობს. უნიტარული სახელმწიფო-

ფო შედგება ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულებიდან, რომელიც შეიძლება იწოდებოდეს პროვინციებად, შტატებად, გუბერნიებად, რაიონებად, პრეფექტურებად და სხვა. არსებობს ისეთი უნიტარული სახელმწიფოებიც, რომლებსაც ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული არ აქვთ (ბაჰრეინი, ნაურუ და სხვა). უნიტარული სახელმწიფო ფედერაციულისაგან განსხვავებით ცენტრალიზებული სახელმწიფოა. მისი შემადგენელი ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეულების მმართველობის ორგანოები ცენტრალური ხელისუფლების ორგანოების რეგიონალურ ქვედანაყოფებს წარმოადგენენ და მოქმედებენ ცენტრალური ორგანოების ბრძანებების, განკარგულებების, მითითებების, ინსტრუქციების შესაბამისად, ცენტრიდან დაფინანსებით და ანგარიშვალდებულნი არიან ცენტრის წინაშე. საქმისადმი მათი შემოქმედებითი მიდგომა შემოიფარგლება ისეთი მეთოდებისა და ფორმების მოფიქრებითა და დანერგვით, რომლებიც საშუალებას იძლევა უკეთესად შესრულდეს ცენტრის მოთხოვნები და მითითებები (13.9).

შედგენილობის მიხედვით განსხვავებენ მარტივ და რთულ უნიტარულ სახელმწიფოებს. მარტივი უნიტარული სახელმწიფო შედგება ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დანაყოფებისაგან (კოლუმბია, ტაილანდი, პოლონეთი და სხვები), რომლებსაც აქვთ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების სტატუსი, მათი ტერიტორია შეიძლება შეიცვალოს ადგილობრივ ორგანოებთან შეთანხმების გარეშე, ხოლო რთული უნიტარული სახელმწიფო თავის შემადგენლობაში აერთიანებს ერთ ან რამდენიმე ავტონომიურ წარმონაქმნს (დიდი ბრიტანეთი, ჩინეთი, დანია და სხვა). მაგრამ, როგორც წესი, უნიტარულ სახელმწიფოში მოქმედ

დებს ერთი კონსტიტუცია, ერთმოქალაქეობა, სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების ერთი სისტემა.

მმართველობის ორგანოების შექმნის წესის მიხედვით განასხვავებენ *ცენტრალიზებულ, დეცენტრალიზებულ და ნახევრადცენტრალიზებულ (ნახევრადდეცენტრალიზებულ) ანუ შერეულ უნიტარულ სახელმწიფოებს*. ცენტრალიზებულ უნიტარულ სახელმწიფოში ადგილობრივი ორგანოების დაქვემდებარება ცენტრისადმი ხორციელდება ცენტრის მიერ დანიშნული თანამდებობის პირის საშუალებით (ინდონეზია, ეაზახეთი, უზბეკეთი და სხვ.). ცენტრალიზებულ უნიტარულ სახელმწიფოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულთა ყველა რგოლში მოქმედებს მმართველობის ვერტიკალურად დანიშნის სისტემა.

ცენტრალიზებული უნიტარული სახელმწიფო ხასიათდება შემდეგი ნიშნებით:

- ადგილობრივი სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების ხელმძღვანელს ნიშნავს ცენტრალური ხელისუფლება, რომელსაც ემორჩილება თვითმმართველობის ადგილობრივი ორგანოები. მაგ., ფინეთში ადგილობრივ თვითმმართველობას განაგებს გუბერნატორი, რომელსაც ნიშნავს პრეზიდენტი;

- სახელმწიფოში არსებობს ერთიანი, მთელი ქვეყნის მომცველი უმაღლესი წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ხელისუფლება, რომელიც ხელმძღვანელობს შესაბამის ადგილობრივ ორგანოებს;

- სახელმწიფოს მთელ ტერიტორიაზე მოქმედებს ერთი კონსტიტუცია, ერთიანი საკანონმდებლო და საგადასახადო სისტემა, ერთი მოქალაქეობა;

- სახელმწიფოს შემადგენელ ნაწილებს არ აქვთ საკუთარი საკანონმდებლო ორგანო, საგარეო ურთიერთობის ორგანოები და სხვა სახელმწიფოებრივი ატრიბუტები, სახელმწიფოთაშორისო ურთიერთობებს აწესრიგებს ცენტრალური ორგანოები.

დეცენტრალიზებულს უწოდებენ ისეთ უნიტარულ სახელმწიფოს, რომლის ადგილობრივი ორგანოები ყალიბდება ცენტრალური ორგანოებისაგან დამოუკიდებლად, ამიტომ იურიდიული ურთიერთობა მათ შორის იგება დეცენტრალიზაციის პრინციპებზე დაყრდნობით (დიდი ბრიტანეთი, ახალი ზელანდია, იაპონია, ესპანეთი, იტალია და სხვა). ასეთივე სისტემა მოქმედებს ამერიკის, კანადის და სხვა ფედერაციების სუბიექტებში.

დეცენტრალიზებულ უნიტარული სახელმწიფოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში მოქმედებს მხოლოდ არჩეული ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები და არ არის ცენტრიდან დანიშნული ზოგადი კომპეტენციის ჩინოვნიკი, რომელიც განახორციელებდა არჩევითი ორგანოების საქმიანობაზე ადმინისტრაციულ კონტროლს. ასეთ სახელმწიფოში აღმასრულებელი ხელისუფლების გამგებლობას მიკუთვნებული კომპეტენციის მნიშვნელოვანი ნაწილი გადაცემული აქვთ საშუალო ან ქვედა დონის ორგანოებს, რომელთაც ცალკეულ შემთხვევებში შეიძლება მინიჭებული ჰქონდეთ სამართალშემოქმედებითი უფლებამოსილებაც, მაგრამ მმართველობის დეცენტრალიზებული სისტემა ფუნქციონირებს ერთიანი სახელმწიფო ორგანიზაციისა და ერთიანი სახელმწიფო მართლწესრიგის ფარგლებში (32.42-43).

დეცენტრალიზებული უნიტარული სახელმწიფო ხასიათდება შემდეგი ნიშნებით:

- სახელმწიფო ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების არჩევა ხდება მოსახლეობის მიერ;

- სახელმწიფო ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები სარგებლობენ მნიშვნელოვანი დამოუკიდებლობით ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების გადაჭრისას;

- სხვადასხვა ეროვნების ხალხს ენიჭება ეროვნული და საკანონმდებლო ავტონომია (მონღოლეთი, სუდანი, აზერბაიჯანი და სხვა).

ნახევრადდეცენტრალიზებული ანუ შერეული უნიტარული სახელმწიფო, რომლის ზოგ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში არის როგორც თვითმმართველობის არჩევითი ორგანოები, ასევე ცენტრის მიერ დანიშნული ზოგადი კომპეტენციის მქონე ჩინოვნიკები ადმინისტრაციული კონტროლის უფლებით. ზოგ ერთეულში შეიძლება იყოს მხოლოდ დანიშნული ჩინოვნიკი ან მხოლოდ არჩევითი (საფრანგეთი, სენეგალი და სხვა). ე.ი. ის ხასიათდება როგორც ცენტრალიზებული, ასევე დეცენტრალიზებული უნიტარული სახელმწიფოს ნიშნებით (იაპონია, თურქეთი, საქართველო და სხვა).

დეცენტრალიზებულ უნიტარულ სახელმწიფოსა და ფედერაციულ სახელმწიფოს შორის უმთავრესი განსხვავება ისაა, რომ ფედერაციის სუბიექტის ხელისუფლება არაა წარმოებული ფედერალური ხელისუფლებისაგან, მაშინ როცა დეცენტრალიზებულ უნიტარულ სახელმწიფოში ტერიტორიულ ერთეულებს მხოლოდ ცენტრალური ხელისუფლებისაგან წარმოებული ხელისუფლება აქვთ (32.329). აქ სახეზე არაა საკუთარი პასუხისმგებლობით მოქმედი

ჯგუფების კავშირი უფრო დიდ ერთობებთან(იქვე, 43). დეცენტრალიზებულ უნიტარულ სახელმწიფოში მხოლოდ ერთი სახელმწიფო ხელისუფლება გვაქვს, ფედერაციულში სახელმწიფო ხელისუფლება ვერტიკალურად ნაწილდება ფედერაციის სუბიექტებზე. ფედერაციულ სახელმწიფოში ხელისუფლების დანაწილება ხდება არა მხოლოდ ჰორიზონტალურად – ხელისუფლების ფედერალურ დონეზე, არამედ ვერტიკალურადაც – ცენტრალური ორგანოებიდან ფედერაციის სუბიექტების ორგანოებზე სადაც, ფედერაციის სუბიექტების დონეზე, ხელისუფლების ჰორიზონტალური დანაწილების მეორე იერარქიაა ჩამოყალიბებული (17.146).

უნიტარულ სახელმწიფოს დადებით მომენტებად მიიხსენება ცენტრალური ხელისუფლების ხელში ქვეყნის რესურსების სრული კონცენტრაცია, რაც ხელს უწყობს მის ეკონომიკურ და კულტურულ განვითარებას, ერთიანი ერის ჩამოყალიბების პროცესს. ამ მიზნით ფედერაციული სახელმწიფოები (ინდონეზია, კამერუნი და სხვა) გარდაიქმნა უნიტარულ სახელმწიფოებად. უნიტარული სახელმწიფო მოსახერხებელია ბიუროკრატიული სისტემის გამართული ორგანიზაციისათვისაც.

უნიტარული სახელმწიფოს უარყოფით ნიშნებად ასახელებენ ავტორიტარული რეჟიმისაკენ მისწრაფების ტენდენციას, ცალკეული რეგიონების, ეთნიკური ჯგუფების (თუ ასეთი არსებობს) ინტერესებისა და უფლებების იგნორირებას, მმართველობის უნიფიცირებას, ადგილობრივი თვითმმართველობის შეზღუდვას და სხვა.

3.2. ავტონომიები უნიტარულ სახელმწიფოში. უნიტარულ სახელმწიფოში შეიძლება არსებობდეს ავტონომიური წარ-

მონაქმნებიც. სიტყვა ავტონომია (ძველებერძულად „თავისი კანონი“) თვითმმართველობას ნიშნავს. ზოგადი გაგებით, ავტონომია საკითხთა გარკვეული წრის დამოუკიდებლად გადაწყვეტის შესაძლებლობაა. იურისპრუდენცია ავტონომიაში გულისხმობს ქვეყანაში არსებული ეროვნული, ეთნიკური, კულტურული, ისტორიული, გეოგრაფიული, ყოფითი თუ სხვა სახის თავისებურებების გათვალისწინებას სახელმწიფოს მშენებლობაში. ასეთი თავისებურებანი შეიძლება გათვალისწინებული იქნას სხვადასხვანაირად: განსაკუთრებული ტერიტორიის გამოყოფით, რომელზედაც იმოქმედებს სპეციფიური რეჟიმი ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების სამართავად; განსაკუთრებული საზოგადოებრივი ორგანიზაციის შექმნის გზით სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფებისათვის და მათ მიერ თავისი წარმომადგენლობების შექმნით ცენტრალურ თუ ადგილობრივ სახელმწიფო ორგანოებში და სხვა.

ა. ტერიტორიული ავტონომია. როცა ლაპარაკია კომპაქტურად დასახლებული მოსახლეობის თავისებურებებზე, იქმნება ტერიტორიული ავტონომია. იმის გამო, რომ ტერიტორიული ავტონომია, ხშირად ეროვნულ-ეთნიკური მომენტის გათვალისწინებით იქმნება, მას ეროვნულ (ნაციონალურ) ტერიტორიულ ავტონომიასაც უწოდებენ. იგი, როგორც აღვნიშნეთ, კომპაქტურად დასახლებული ეთნოსის უფლებების რეალიზაციის ფორმას წარმოადგენს. ტერიტორიული ავტონომიის ერთადერთ ფორმას – ეროვნულ-ტერიტორიულ ავტონომიას, ისიც მკაცრი ცენტრალიზაციის მქონეს, სცნობდა საბჭოთა მმართველობა. ავტონომიისადმი ასეთი მიდგომაა დამახასიათებელი თანამედროვე ჩინეთში,

სადაც 150–ზე მეტი სხვადასხვა დონის ავტონომია არსებობს.

თანამედროვე მსოფლიო იცნობს, როგორც ეთნიკური, ასევე კულტურის, ყოფის, გეოგრაფიული ფაქტორების გათვალისწინებით შექმნილ ტერიტორიულ ავტონომიებს. ასეთი ავტონომიები მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ფართოდ გავრცელდა. იტალიაში ოცი ავტონომიური ოლქი ჩამოყალიბდა, როგორც ეთნიკური, ასევე, კულტურული, ყოფითი თუ გეოგრაფიული ფაქტორების საფუძველზე. მე–20 საუკუნის 70-იან წლებში შეიქმნა ქურთების ავტონომია ერაყში, 80-იან წლებში კი ფილიპინებში ჩამოყალიბდა ორი ავტონომიური წარმონაქმნი, მათ შორის ერთი, მინდანაოს კუნძულზე, რელიგიური ნიშნით. ასევე ორი ავტონომია შეიქმნა ნიკარგუაში, ჩვიდმეტი ესპანეთში საკმაოდ ფართო უფლებებით (რის გამოც, პოლიტიკოსები ხუმრობენ კიდევ, რომ, „ესპანეთი ფედერაციული სახელმწიფოა, მაგრამ მან ჯერ ამის შესახებ არ იცის“), 90-იან წლებში მოლდოვაში შეიქმნა გაგაუზების ავტონომია, პოლიტიკური ავტონომიის სტატუსი მიიღო კორსიკამ საფრანგეთის შემადგენლობაში და სხვა. როგორც ვხედავთ, ისეთი ზეცენტრალიზებული სახელმწიფოსთვის, როგორც საფრანგეთია, ავტონომიზაციისა და რეგიონალიზაციის ტენდენციები უცხო არ არის.

ტერიტორიული ავტონომია კომპეტენციის მიხედვით შეიძლება დავეყოთ პოლიტიკურ (საკანონმდებლო) და ადმინისტრაციულ ავტონომიად.

ბ. პოლიტიკური ავტონომია. პოლიტიკურ ავტონომიას საკუთარი საკანონმდებლო უფლება აქვს. ადმინისტრაციულ ავტონომიას ასეთი უფლება არ აქვს, თუმცა, გამონაკლისებიც არსებობს: ესპანეთის მცირე ავტონომიები, რომლებიც

შედიან უფრო დიდ ავტონომიებში, ღებულობენ თავიანთ კანონებს, მაშინ როცა, ყირიმის ავტონომიური რესპუბლიკა, რომელსაც აქვს პარლამენტი და მინისტრთა კაბინეტი, კანონებს ვერ ღებულობს. მის მიერ მიღებული აქტებია დადგენილებები და გადაწყვეტილებები. კანონებს მხოლოდ უკრაინის უმაღლესი რადა ღებულობს(59.166).

პოლიტიკური ავტონომიაა იტალიის 20 ოლქში, ესპანეთის სხვადასხვა სახის ავტონომიურ ერთეულებში, ვოევოდინას მხარეში (სერბია), ჩრდილოეთ ირლანდიაში, შოტლანდიაში, უელსში (დიდი ბრიტანეთი), ალანდიის კუნძულებზე ფინეთში, ფარერის კუნძულებზე და გრენლანდიაზე დანიაში, ნახიჭევანში (აზერბაიჯანი), ყარაყალპაყეთში (უზბეკეთი), ყირიმში (უკრაინა) და სხვა.

პოლიტიკური ავტონომიის უფლებები სხვადასხვაგვარია არა მხოლოდ სხვადასხვა სახელმწიფოში, არამედ ერთი სახელმწიფოს ორ სხვადასხვა ავტონომიაშიც კი. მაგალითად, პორტუგალიაში აზორის კუნძულსა და მადეირას კუნძულს, ადგილობრივი კანონების მიღების უფლების გარდა, აქვთ საკანონმდებლო ინიციატივის უფლებაც პორტუგალიის პარლამენტში და ამასთანავე, საერთაშორისო მოლაპარაკებებში მონაწილეობის მიღების უფლებაც, თუ საქმე მათ ინტერესებს ეხება.

დანია, მაგალითად, ფარერის კუნძულებისა და გრენლანდიის მიმართ ახორციელებს კონტროლს მხოლოდ თავდაცვასა და საგარეო საქმეთა წარმართვაზე.

ესპანეთში ოთხი ეროვნული ოლქის გარდა არსებობს ცამეტი ისტორიული ოლქი, რომელთა უფლებამოსილება შეზღუდულია, ბასკების ქვეყანასა და კატალონიასთან შედარებით, სადაც ეს უფლებები გაცილებით განვრცობილია.

მათ აქვთ საკუთარი სამოქალაქო სამართალი, სპეციფიკური სამართალწარმოება, ჰყავთ საკუთარი პოლიცია, აქ კონტროლი ხორციელდება მხოლოდ საკონსტიტუციო სასამართლოს მეშვეობით, მაშინ როცა პოლიტიკური ავტონომიის სხვა დონეებზე კონტროლი ხორციელდება, როგორც სამთავრობო, ასევე ადმინისტრაციული სასამართლოს მხრიდან.

ქვეყანათა უმრავლესობაში პოლიტიკური ავტონომიები ყალიბდება ზოგადი სქემით, რომლის მიხედვითაც ადგილობრივი პარლამენტი ქმნის ადგილობრივ მთავრობას. ადგილობრივი კანონები და სხვა სამართლებრივი აქტები გამოიცემა კონსტიტუციით ან სპეციალური კანონით მკაცრად განსაზღვრულ საკითხებზე და უნდა შეესაბამებოდეს ზოგად სახელმწიფოებრივს. ადგილობრივი კანონმდებლობა მოიცავს საკითხების შეზღუდულ წრეს და ძირითადად ეხება: ბაზრობას, სანიტარიას, ადგილობრივი პოლიციის ორგანიზაციას, ადმინისტრაციული დაწესებულებების ორგანიზაციას, იშვიათად, სოფლის მეურნეობას, ნადირობას, თევზჭერას, ბუნების დაცვას და სხვა. ეს კანონები შეიძლება გაუქმებული იქნას თუ ისინი გადიან ავტონომიის კომპეტენციის ფარგლებიდან ან ეწინააღმდეგებიან ზოგადსახელმწიფოებრივ სამართლებრივ აქტებსა და ინტერესებს. ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენელია მის მიერვე დანიშნული გუბერნატორი (იგი სხვა სახელითაც შეიძლება მოიხსენიებოდეს, მაგალითად, კომისარი, მინისტრი და სხვა), რომელსაც ადგილობრივი პარლამენტის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებთან მიმართებაში აქვს შეყოვნებითი ვეტოსა და მათი რეზერვირების უფლება, ანუ უფლება გადადოს მათი ძალაში შესვლა სახელმწიფოს მეთაურის შეხედულებისამებრ.

პოლიტიკური ავტონომია ეროვნულ უმცირესობებს ანიჭებს გარკვეულ დამოუკიდებლობას საშინაო ცხოვრების საკითხებში. მისი სტატუსი უფრო მაღალია ვიდრე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ავტონომიისა და უფრო დაბალია ვიდრე ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ავტონომიისა (ავტონომიური რესპუბლიკის). პოლიტიკური ავტონომია იზღუდება ცენტრის მიერ მიღებული აქტით, რომელიც განსაზღვრავს ავტონომიის სტატუსს და წარმოადგენს ავტონომიური ორგანოების მოქმედების სამართლებრივ საფუძველს.

შესაძლებელია პოლიტიკური ავტონომიის შეჩერება ავტონომიაში საგანგებო სიტუაციის პირობებში, ამ შემთხვევაში მისი მართვა ხდება ცენტრალური ორგანოების მიერ „პირდაპირი მმართველობის” პრინციპებით. მაგალითად, ჩრდილოეთ ირლანდიაში, კათოლიკებისა და პროტესტანტების შეჯახებების გამო 30 წლის განმავლობაში პირდაპირ მმართველობას ანხორციელებდა ლონდონი.

პოლიტიკური ავტონომიის უფრო მაღალი საფეხურია ავტონომიური რესპუბლიკა, რომელსაც სახელმწიფოს სტატუსისათვის დამახასიათებელი ნიშნები (კონსტიტუცია, კანონმდებლობა, მოქალაქეობა, უმაღლესი სახელმწიფო ორგანოები, სიმბოლიკა და სხვა) გააჩნია.

გ. ადმინისტრაციული ავტონომია. ადმინისტრაციული ავტონომია ფართოდ გამოიყენება ჩინეთში, სადაც 150-ზე მეტი ადმინისტრაციული ავტონომია ემსახურება ეროვნულ უმცირესობათა ინტერესების დაცვას. ავტონომიის ორგანოები წარმართავენ ადგილობრივ მეურნეობას, განაგებენ ადგილობრივი კულტურის, მეცნიერების, განათლების საკითხებს. აქვთ საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის უფლება, განსაკუთრებით ეს ეხება ვაჭრობას გარკვეულ ქვეყნებთან.

ადგილთა უმრავლესობა ადგილობრივ წარმომადგენლობით ორგანოში, კანონის მიხედვით, უნდა ეკავოს ადგილობრივი ეთნოსის წარმომადგენლებს და სხვა.

ადმინისტრაციული ავტონომია იმით განსხვავდება ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულისაგან, რომ მას ჰყავს წარმომადგენლები ცენტრალურ სახელმწიფო ორგანოებში, აქვთ საკუთარი უფლებებისა და ინტერესების დაცვის სპეციალური საშუალებები.

ადმინისტრაციული ავტონომია გამოიყენება, მაგალითად, მოლდოვაში, სადაც ავტონომიები ფლობენ ვიწრო უფლებამოსილებებს ენის (მათ შორის სამართალწარმოების ენის), განათლების, კულტურის, ტრადიციის სფეროში. ზოგ ადმინისტრაციულ ავტონომიაში გამოდის გაზეით ადგილობრივ ენაზე, გამოყოფილია დრო ადგილობრივი რადიომაუწყებლობისათვის და სხვა.

დ. კულტურული ავტონომია. კულტურული ავტონომია წარმოადგენს ერთი ეროვნების მოქალაქეთა საზოგადოებრივ გაერთიანებას ეროვნული კულტურის, განათლების, სულიერებისა და სხვა ინტერესების თვითორგანიზაციის მიზნით. ავტონომიის აღნიშნულ ტიპს მიმართავენ იმ შემთხვევაში, როცა ესა თუ ის ეთნიკური ჯგუფი არ ცხოვრობს კომპაქტურად და მიმოხვეულია ქვეყანის მთელ ტერიტორიაზე. კულტურული ავტონომია არ იქმნება ტერიტორიული ნიშნით, იგი ექსტერიტორიული ავტონომიაა, მას არაფერი აქვს საერთო ქვეყნის ტერიტორიულ მოწყობასთან. კულტურული ავტონომია სახელმწიფო დონისძიებების სისტემაა, რომელიც მოწოდებულია ეროვნული უმცირესობისათვის, მიუხედავად იმისა, კომპაქტურად ცხოვრობენ თუ არა, უზრუნველყოს მათი ეროვნული კულტურის, ენისა და ეროვნული

თვითმყოფადობის შენარჩუნება და განვითარება (ავსტრია, უნგრეთი) (17.143). შეიძლება განვასხვაოთ კულტურული ავტონომიის ორი ნაირსახეობა – *პერსონალური და კორპორაციული კულტურული ავტონომიები*.

პერსონალურ ავტონომიასთან იმ შემთხვევაში გვაქვს საქმე, როდესაც ეროვნული უმცირესობა გაბნეულად ცხოვრობს ქვეყნის ტერიტორიაზე, მაგრამ ქმნის გაერთიანებას, რომელიც დაკავებულია ეროვნული საკითხების მოგვარებით. ეს გაერთიანება, ამავე დროს, უფლებამოსილია სათათბირო ხმის უფლების მქონე წარმომადგენელი იყოლიოს სახელმწიფოს რიგ ცენტრალურ ორგანოებში (ნორვეგია, შვედეთი და სხვა).

კორპორაციული ავტონომია ენობრივი ერთობების ინტეგრაციის გამოხატულებაა. კორპორაციული ავტონომიის პირობებში, ენობრივი უმცირესობის წარმომადგენლებისათვის ადგილთა გარკვეული რაოდენობაა გამოყოფილი სახელმწიფო აპარატში და ამასთანავე, ენობრივი უმცირესობით კომპაქტურად დასახლებულ რაიონში მომუშავე სხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელ სახელმწიფო მოხელეს ევალება ადგილობრივი მოსახლეობის ენის ცოდნა.

3.3. რეგიონალური (რეგიონული) სახელმწიფო. უნიტარული სახელმწიფოს ადმინისტრაციული ერთეულების გამსხვილებისა (22. 184) და დეცენტრალიზაციის გზით მე-20 ს-ის მეორე ნახევარში წარმოიშვა პოლიტიკურ-ტერიტორიული წყობილების სპეციფიკური ფორმა–რეგიონალური (რეგიონული) სახელმწიფო. დღეისათვის, სპეციალისტთა შეფასებით, ასეთი ფორმა არსებობს იტალიაში, ესპანეთში, შრი-ლანკაში და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში. თუმცა, ამის შესახებ არაფერია ნათქვამი აღნიშნული

ქვეყნების კონსტიტუციებში. რეგიონალურ სახელმწიფოს სშირად უნიტარიზმიდან ფედერალიზმამდე გარდამავალ ფორმადაც განიხილავენ. რეგიონალური სახელმწიფო განსხვავდება, როგორც რთული უნიტარული სახელმწიფოსაგან, ასევე ფედერაციულისაგან. რეგიონალური სახელმწიფო შედგება პოლიტიკურ-ავტონომიური წარმონაქმნებისაგან, რომლებიც ღებულობენ ადგილობრივ კანონებს, მაგრამ მათი საკანონმდებლო სფერო მკაცრადაა დადგენილი ქვეყნის კონსტიტუციით და კონტროლდება ცენტრის სპეციალური წარმომადგენლის მიერ (51. 58).

34. ფედერაციული სახელმწიფო. ტერმინი ფედერაცია, ლათინური ენიდან მომდინარეობს და ქართულად „კავშირს“, „გაერთიანებას“ ნიშნავს. „ფედერაციის“ გვერდით არსებობს ტერმინი „ფედერალიზმი“, რომელიც სახელმწიფოს ტერიტორიულ ნაწილებს შორის კოორდინაციის პროცესის აღმნიშვნელი ტერმინია. ფედერაციული სახელმწიფო გულისხმობს, სახელმწიფო ხელისუფლების ტერიტორიულ გადანაწილებას საზიაროობის პრინციპის მიხედვით, ცენტრალურ და ფედერაციის სუბიექტთა ორგანოებს შორის.

ქართულ პრესაში „ფედერაცია“, „ფედერალიზმი“, „ფედერალისტი“ შემოიტანა, განმარტა და დაამკვიდრა ჟურნალმა „საქართველოს მოამბემ“, კირილე ლორთქიფანიძის სტატიით „წრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატები და იქაური ტყვეები“(34.21).

„ფედერაციისა“ და „ფედერაციული სახელმწიფოს“ ტერმინების გარდა, რომელსაც გამოიყენებს რიგი სახელმწიფოების (გერმანია, არგენტინა და სხვა) კონსტიტუციები, არსებობს აგრეთვე, ამ ტერმინების იდენტური ტერმინები – „კავშირი“ (ინდოეთი), „შეერთებული შტატები“(აშშ, მექსიკა),

„ფედერაციული რესპუბლიკა“ (ბრაზილია), „კონფედერაცია“ (კანადა, შვეიცარია) და სხვა, რომლებიც ასევე ფედერაციული სახელმწიფოსათვის დამახასიათებელ თავისებურებებს აღნიშნავენ.

ფედერაციის ძირითად დანიშნულებას წარმოადგენს ფედერაციის სუბიექტთა, როგორც ერთიანი მთელის ეროვნული, რეგიონული და სხვა ინტერესების შეხამება ზოგადსახელმწიფოებრივთან.

სპეციალისტები ფედერალიზმის ხუთ ძირითად ფუნქციას გამოყოფენ, ეს ფუნქციებია:

- ქვეყნის პოლიტიკური ერთიანების ისეთი ორგანიზაცია, რომელიც აკავშირებს მრავალფეროვნებასა და ერთიანობას ერთმანეთთან;

- ერთიანი პოლიტიკური ორგანიზმის დანაწევრება პოლიტიკურ ერთეულებად, რომლებიც ფედერალური წყობით არიან დაცული საბოლოო დეზინტეგრაციისაგან;

- მოსახლეობის შესაძლებლობა ხელისუფლების რამდენიმე დონეზე მიიღოს მონაწილეობა პოლიტიკურ პროცესებში;

- ცენტრალური ხელისუფლების ბოჭვა;

- რეგიონული კონკურენციის გზით მთავრობის ეფექტურობის ზრდა (4. 106; 107; 112).

ფაქტობრივად, ფედერალიზმის აღნიშნული ფუნქციები მისი ღირსებების მაჩვენებელია. თუმცა, ფედერალიზმისა და უნიტარიზმის ურთიერთმიმართებისას უნიტარიზმის შემდეგ დადებით ნიშან-თვისებებზეც მიუთითებენ:

- უნიტარულ სახელმწიფოში ტერიტორიული მთლიანობის რღვევა არ იწვევს სახელმწიფოს ნების გამომხატველი ხელისუფლების კვდომას. ფედერაციის სუბიექტები, რო-

გორც სახელმწიფო სუვერენიტეტის წარმოქმნაში მონაწილე სუბიექტები, როცა შეწყვეტენ ცენტრალურ ხელისუფლებასთან ურთიერთობას, მაშინ სახელმწიფო სუვერენიტეტი ანუ სახელმწიფოებრიობა ირღვევა;

- უნიტარული სისტემა ამარტივებს გადაწყვეტილებების მიღების მექანიზმს;

- უნიტარული სახელმწიფო ნაკლებადაა დაკავშირებული ხალხის მართლშეგნებასა და პოლიტიკურ კულტურაზე, ვიდრე ფედერაციული. ფედერალიზმს სიცოცხლისუნარიანობისათვის მუდმივი მოწონება და მხარდაჭერა ესაჭიროება (4. 117).

ფედერაციის ზემოთ აღნიშნული ზოგადი ფუნქციების მიუხედავად კონკრეტული ფედერაციული სახელმწიფოს ფუნქცია და ორიგინალობა დამოკიდებულია იმ მიზნებზე, რა მიზნებითაც იგი იქმნება და იმ ამოცანებზე, რომლებსაც იგი ასრულებს. მაგალითად, აშშ ფედერაციის მიზანს წარმოადგენდა სახელმწიფოებრივი ერთიანობისა და ფედერაციის სუბიექტების პოლიტიკური თავისუფლების უზრუნველყოფა; გერმანიაში, ფედერაციას უნდა გაეერთიანებია განცალკევებული გერმანული სახელმწიფოები; შვეიცარიაში ფედერალიზმი შემოიღეს იმ მიზნით, რომ შესაძლებელი ყოფილიყო ერთ სახელმწიფოში განსხვავებული რასის, ენის, რელიგიისა და პოლიტიკური ტრადიციების მქონე ერთეულების თანაცხოვრება ისე, რომ არ დარღვეულიყო ინდივიდუალურობა; ავსტრიაში მისი მიზანი ეროვნული საკითხების მოგვარება იყო; ბელგიაში ფედერალიზმი შემოღებული იქნა ვალონელებსა და ფლამინდიელებს შორის ეროვნული წინააღმდეგობების დაძლევისა და ბელგიის სახელმწიფოებრივი მთლიანობის შენარჩუნების მიზნით (4. 105-106) და სხვა.

თანამედროვე მსოფლიოში ოცდაათი ფედერაციული სახელმწიფოა (59.170), რომლებშიც დედამიწის მოსახლეობის ნახევარზე მეტი ცხოვრობს. ფედერაციული მოწყობა აქვთ როგორც დიდ (ინდოეთი, რუსეთი, აშშ), ასევე საშუალო (ავსტრია, გერმანია, ბელგია) და ჯუჯა (სენტ-კრისტოფერისა და ნევისის ფედერაცია 50 ათასი მცხოვრებით) სახელმწიფოებს. განვითარების მიხედვით ფედერაციული სახელმწიფო შეიძლება იყოს მაღალგანვითარებული (აშშ, ავსტრია, გერმანია), საშუალო (მექსიკა) და ჩამორჩენილი (კომორის კუნძულების ფედერაციული ისლამური რესპუბლიკა).

მმართველობის მიხედვით ფედერაციულ სახელმწიფოთა უმრავლესობა რესპუბლიკური მართვა-გამგეობისაა. მონარქიულია მხოლოდ ავსტრალია, კანადა (ნომინალური მეთაურია დიდი ბრიტანეთის მონარქი), ბელგია, არაბთა გაერთიანებული საამიროები და მალაიზია.

სახელმწიფოს ფედერაციული მოწყობა ყველაზე ადრე დამკვიდრდა შვეიცარიაში (1291წ.), ამიტომ იგი უძველესი ფედერაციული სახელმწიფოა. შემდეგი ფედერაცია ამერიკის შეერთებულ შტატებში გამოცხადდა 1777 წელს. ყველაზე გვიან ფედერაციული წყობილება ჩამოყალიბდა ბელგიასა (1993წ.) და ეთიოპიაში (1994წ.). მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ფედერაციულ სახელმწიფოთა რიცხვი სამჯერ გაიზარდა. ამავე დროს რამდენიმე ფედერაციულმა სახელმწიფომ (ინდონეზია, უგანდა და სხვა) დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ სახელმწიფოს მოწყობის უნიტარული ფორმა აირჩია.

ფედერაციული სახელმწიფო რთული სახელმწიფოა, იგი შედგება წევრი სუბიექტებისაგან ან ნაწილი სუბიექტები-

საგან. ფედერაციის შემადგენელი წევრები და ნაწილები მისი სუბიექტებია. სახელმწიფო ხელისუფლება ფედერაციულ სახელმწიფოში გამოიყენება, განაწილებულია ცენტრალურ ანუ ფედერალურ ხელისუფლებასა და ფედერაციის სუბიექტებს შორის. ფედერაციის სუბიექტები შეიძლება იწოდებოდეს შტატებად, ემირატებად, პროვინციებად, კანტონებად და ა.შ. ერთსა და იმავე სახელმწიფოში ფედერაციის სუბიექტებს, შეიძლება სხვადასხვა სახელიც ჰქონდეს, მაგალითად რუსეთის ფედერაციაში ფედერაციის სუბიექტია როგორც რესპუბლიკა, ასევე მხარე, ოლქი და სხვა. სპეციალისტების აზრით, ფედერაციული სახელმწიფოს ჰარმონიულობა, სხვა ფაქტორებთან ერთად, ფედერაციის სუბიექტთა რაოდენობაზეცაა დამოკიდებული. ორსუბიექტიანი ფედერაცია ითვლება მძიმე ფედერაციად, ვინაიდან თითოეულ ნაწილს უჭირს მთლიანობაში დაინახოს სახელმწიფო და ერთმანეთს უყურებენ, როგორც საპირისპირო მხარეს. რაც მეტია სუბიექტების რაოდენობა მით მეტია კონსენსუსის შესაძლებლობა. დღეისათვის ყველაზე ნაკლებსუბიექტიანი ფედერაციული სახელმწიფოა ტანზანია, რომელიც ფედერაციის ორი სუბიექტითაა წარმოდგენილი, ხოლო ყველაზე მეტი ტერიტორიული სუბიექტი რუსეთის ფედერაციაშია – ოთხმოცდარვა, 2005 წლის პირველ დეკემბრამდე რუსეთის ფედერაციაში ოთხმოცდაცხრა სუბიექტი იყო, ორი სუბიექტი – პერმის გუბერნია და კომი-პერმის ავტონომიური ოლქი – პერმის მხარის სახელწოდებით, ერთ სუბიექტად გაერთიანდა.

ფედერაციული სახელმწიფო შეიძლება წარმოიშვას როგორც სახელმწიფოთა გაერთიანებით (აშშ და სხვა), ასევე ქვეყნის კონსტიტუციის თუ სპეციალური კანონის

საფუძველზე (ინდოეთი და სხვა). შესაძლებელია ფედერაციული სახელმწიფო შეიქმნას როგორც ერთი, ისე მეორე გზით (რუსეთი). სახელმწიფოთა გაერთიანებით, ანუ სახელმწიფოებო გზით, „ქვემოდან“ შექმნილი ფედერაციული სახელმწიფოების სუბიექტები სახელმწიფოს წევრი-სუბიექტებია, ხოლო კონსტიტუციისა თუ კანონის საფუძველზე შექმნილი ანუ კონსტიტუციის გზით, „ზემოდან“ შექმნილი ფედერაციული სახელმწიფოების სუბიექტები სახელმწიფოს ნაწილი-სუბიექტებია.

ეროვნული ნიშნით მოწესრიგებულ ფედერაციაში ერები (სახელმწიფოები) ნებაყოფლობით არიან გაერთიანებული ერთ სამოკავშირო სახელმწიფოში. ამ ერებს(სახელმწიფოებს) საკავშირო ორგანოებისათვის ნებაყოფლობით აქვთ გადაცემული თავიანთი სუვერენული უფლებები.

ტერიტორიული ნიშნით მოწესრიგებულ ფედერაციას საფუძველად უდევს ეკონომიკური, გეოგრაფიული, ენობრივი, კულტურული და სხვა მსგავსი ფაქტორები. ფედერაციის ეს სახე ცენტრალიზაციის უფრო მაღალი ხარისხით ხასიათდება ვიდრე ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ფედერაცია.

ეროვნულ-ტერიტორიული ნიშნით მოწესრიგებული ფედერაცია ხორციელდება მაშინ, როცა სახელმწიფოს ტერიტორიული ორგანიზება ორივე ნიშნის გამოყენებით ხდება (35.161-162). ზოგი მკვლევარის აზრით, ფედერაციულია სახელმწიფო, რომელსაც აფუძნებენ და შეადგენენ ცალკეული სახელმწიფოები (21.39).

აღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება განვასხვაოთ სახელმწიფოებო და კონსტიტუციური, ეროვნულ-ტერიტორიული და ტერიტორიული, სიმეტრიული და ასიმეტრიული,

ინტეგრაციული და დევილუციური და სხვა სახის ფედერაციები.

ფედერაციული სახელმწიფო ხასიათდება შემდეგი ზოგადი ნიშნებით:

- ერთიანი ტერიტორია, შემდგარი ფედერაციის სუბიექტების (შტატები, მიწები, კანტონები, რესპუბლიკები და ა.შ.) ტერიტორიებისაგან, რომელზეც ვრცელდება ფედერაციის სუვერენიტეტი;

- ფედერაციის სუბიექტთა საზღვრებისა და სტატუსის გარანტიების შენარჩუნება;

- სახელმწიფოში უმაღლესი საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლება ეკუთვნის საკავშირო, ფედერალურ სახელმწიფო ორგანოებს;

- ფედერაციასა და ფედერაციის სუბიექტთა შორის უფლებამოსილების კონსტიტუციური ან კონსტიტუციურ-სახელშეკრულებო გამიჯნვა;

- ფედერაციულ სახელმწიფოსა და მის სუბიექტებს შორის კომპეტენციას განსაზღვრავს ფედერალური (საკავშირო) კონსტიტუცია;

- ფედერალური კონსტიტუციის უზენაესობა;

- ფედერალური კანონების პრიორიტეტი;

- ფედერაციის სუბიექტებს აქვთ უფლება მიიღონ საკუთარი კონსტიტუცია, ჰქონდეთ საკუთარი უმაღლესი საკანონმდებლო, აღმასრულებელი და რიგ შემთხვევებში, სასამართლო ორგანოები;

- ფედერაციულ სახელმწიფოთა უმრავლესობაში არსებობს ორმაგი მოქალაქეობა (როგორც ერთიანი საკავშირო ისე ფედერაციის სუბიექტის მოქალაქეობის უფლება);

- ერთიანი ეკონომიკური და თავდაცვითი სივრცე;

- ერთიანი ფულადი, საფინანსო და საკრედიტო სისტემა;
- ერთიანი შეარადებული ძალები;
- ფედერაციული სახელმწიფოების პარლამენტი, როგორც წესი, ორპალატიანია ანუ ბიკამერალურია (ამ ზოგადი წესიდან გადახვევას ჰქონდა ადგილი პაკისტანსა და კამერუნში. თუმცა, ერთი და მეორეც დროებითი მოვლენა იყო), რომელთაგან ზედა პალატა ფედერაციის სუბიექტების ინტერესების დამცველია, ხოლო ქვედა პალატა ფედერაციის. ფედერაციის სუბიექტთა პარლამენტი, ჩვეულებრივ, ერთპალატიანია (თუმცა აქაც არსებობს გამონაკლისი, მაგალითად, გერმანიაში შემავალი ბავარიის მიწის პარლამენტი ორპალატიანია).

ა. სახელშეკრულებო ფედერაცია. *სახელშეკრულებო ფედერაცია, კავშირის საფუძველზე წარმოშობილი ფედერაციაა და დამოუკიდებელი სახელმწიფოების გაერთიანების საფუძველზეა შექმნილი*, ამიტომ ასეთი გზით შექმნილი ფედერაციული სახელმწიფოების სუბიექტებს უნარჩუნდებოდათ სახელმწიფო სუვერენიტეტი და ფედერაციის შემადგენლობიდან გასვლის (სეცესიის) უფლება. თანამედროვე მსოფლიოში ასეთი ფედერაციული სახელმწიფოები თითქმის არ გვხვდება. ფედერაციიდან გასვლის უფლება შენარჩუნებული აქვს სენტ-კრისტოფერისა და ნევისის ფედერაციის სუბიექტებს და გარკვეული თავისებურებებით, ეთიოპიის ფედერაციის სუბიექტებს. კავშირის საფუძველზე შექმნილ სხვა ფედერაციებში ასეთი უფლება არ არის აღიარებული. აშშ უმაღლესმა სასამართლომ მიიღო სპეციალური გადაწყვეტილება, რომლითაც დაადასტურა ამერიკის ფედერაციიდან გასვლის შეუძლებლობა. თანამედროვე კონსტიტუციები პრინციპში უარყოფენ სეცესიის უფლებას, თუმცა აღიარებენ

ერთა თვითგამორკვევის უფლებას. ფედერაციის სუბიექტთა ფედერაციისაგან გამოყოფისა და დამოუკიდებელ სახელმწიფოდ დამკვიდრების ცდები ხშირ შემთხვევაში ფედერალური შეარაღებული ძალების საშუალებით (შვეიცარიაში 1847წ., აშშ-ში 1861-1865წწ., ნიგერიაში მე-20 საუკუნის 70-იან წლებში) იქნა აღკვეთილი. ზოგ ქვეყნებში დღესაც მიმდინარეობს შეიარაღებული კონფლიქტები (რუსეთი). სეცესიის პროცესის შეჩერება ავსტრალიაში სასამართლოს ჩარევით იქნა შესაძლებელი. თუმცა არის შემთხვევები როცა სეცესია განხორციელდა როგორც შეიარაღებული გზით (პაკისტანის შემადგენლობიდან ბენგალის გამოყოფა და ბანგლადეშის სახელმწიფოს ჩამოყალიბება), ასევე მშვიდობიანი გზით (სინგაპურის გამოყოფა მალაიზიისაგან, ერიტრეის პროვინციის გამოყოფა ეთიოპიისაგან).

თანამედროვე ფედერაციათა უმრავლესობა მისი სუბიექტების ავტონომიის საფუძველზე შექმნილი ფედერაციებია. ფედერაციის სუბიექტთა ავტონომიის უფლებები ფედერაციაში გაცილებით უფრო ფართოა, ვიდრე პოლიტიკური ავტონომიისა უნიტარულ სახელმწიფოში.

თანამედროვე კონსტიტუციური სამართალი არ სცნობს ფედერაციის სუბიექტთა სახელმწიფო სუვერენიტეტს, თუმცა ზოგიერთი კონსტიტუცია მათ სახელმწიფოდ მოიხსენიებს. მაგალითად, შვეიცარიის, მექსიკის და სხვა კონსტიტუციები აფიქსირებენ ფედერაციის სუბიექტთა სუვერენიტეტს, მაგრამ სინამდვილეში მასში მოიაზრებენ სრულიად გარკვეულ აზრს – ფედერაციის სუვერენიტეტს შინაურ საქმეებში, იმდენად რამდენადაც ფედერაციის სუბიექტები არ არიან შეზღუდული საშინაო საქმეებში ფედერალური კონსტიტუციით. საბჭოთა კავშირში სუვერენიტეტს ფლობდა როგორც

საბჭოთა კავშირი, ასევე მასში შემაგალი რესპუბლიკები, ე.ი. არსებობდა ე.წ. „ორმაგი სუვერენიტეტი“, რაც სუვერენიტეტის არსს ამახინჯებდა, რადგან სუვერენიტეტი სხვებთან მიმართებაში უპირატესობას გულისხმობს და ამდენად, განუყოფელია. ამასთან, ფედერაციული სახელმწიფოს სუვერენიტეტი მთელი სახელმწიფოს მოსახლეობისა და მისი შემადგენელი სუბიექტების ნებით ფუძნდება, ე. ი. ფედერაციული სახელმწიფოს სუვერენიტეტი ორმაგ წყაროს ეფუძნება და აქედან გამომდინარეც იგი განუყოფელია. რუსეთის ფედერაციაში ფედერაციის რესპუბლიკა-სუბიექტებს (რუსეთის ფედერაციაში რესპუბლიკა ფედერაციის სუბიექტის ერთ-ერთი სახეა ოლქთან, მხარესთან და ა.შ. ერთად), ფედერალური კონსტიტუციით მინიჭებული აქვთ სახელმწიფოს სტატუსი, მაგრამ ეს სტატუსი წმინდა ატრიბუტული ხასიათისაა და რესპუბლიკები არ გვევლინებიან სახელმწიფოებად ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. ისინი არ არიან სუვერენულები სრული გაგებით, თუმცა, ფედერალური კონსტიტუციის მიერ მინიჭებულ ამ „ატრიბუტულ სახელმწიფოებრიობას“ იყენებს რუსეთის ფედერაციის ზოგიერთი რესპუბლიკა და თავიანთ კონსტიტუციებში საკუთარ თავს სუვერენულ სახელმწიფოს უწოდებს (ყაბარდო-ბალყარეთის რესპუბლიკა, დაღესტანის რესპუბლიკა, თათრეთის რესპუბლიკა და სხვა) (41. 130).

ბ. ეროვნულ-ტერიტორიული ფედერაცია. ეროვნულ-ტერიტორიული ფედერალიზმი ძირითადად დამახასიათებელი იყო სოციალისტური ბანაკისათვის. აქ ფედერაცია განიხილებოდა, როგორც მხოლოდ ეროვნული საკითხის გადაჭრის საშუალება მრავალეროვნულ ქვეყანაში. დასავლეთის ტრადიციულ ფედერაციებში კი ფედერაცია განიხილება უპირვე-

ლესად, როგორც მმართველობის დეცენტრალიზაციის საშუალება, როგორც სხვსდასხვა რეგიონის თანამშრომლობის ფორმა.

მსოფლიოში მიმდინარე ფედერალიზაციის პროცესი ცხადყოფს რომ ფედერაციები, იქმნება, როგორც ტერიტორიული, ასევე ეროვნული და ეროვნულ-ტერიტორიული ნიშნით. თითოეულ მათგანს აქვს თავისი მინუსები და პლუსები. ესა თუ ის ქვეყანა, საკუთარი კონკრეტული მიზნიდან გამომდინარე, ქმნის ფედერაციულ სახელმწიფოს ან ერთი, ან მეორე, ანაც ორივე პრინციპის საფუძველზე.

ფედერაციის შექმნა ეროვნულ-ტერიტორიული ნიშნით შეესაბამება ერთა თვითგამორკვევის საერთაშორისო უფლებას, ასევე, იგი ხელს უწყობს მრავალეროვანი სახელმწიფოს ნაწილებს შორის ინტეგრაციას, დაპირისპირებების გადალახვას. შემთხვევითი არაა ბელგიის ფედერაციის შექმნა 1993წ. და ეთიოპიისა 1994წ. ამ გზით შესაძლებელი გახდა ეთნიკური დაპირისპირების თავიდან აცილება ამ ქვეყნებში. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ფედერაციული სახელმწიფოს მოწყობა ეროვნულ-ტერიტორიული ნიშნით ხელს უწყობს სეპარატისტული ტენდენციების გაღვივებას. სპეციალისტთა ვარაუდით, ეროვნული მომენტის გადაჭარბებული გათვალისწინება სახელმწიფოს მოწყობაში ხელს უშლის ეთნოსთა დაახლოებას, უფრო მეტიც, ურთიერთდაპირისპირებასაც კი იწვევს. “ფედერაციულ სახელმწიფოებში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების შეფასებით ნათელი გახდა, რომ ფედერალიზმი ძლიერი აღმოჩნდა იმ ქვეყნებში, სადაც იგი ნაციონალური საკითხის გადაწყვეტას კი არ ემსახურება, არამედ, უპირატესად, სახელმწიფოს მართვის სრულყოფის ამოცანას წყვეტს და ხელისუფლების

ვერტიკალური დანაწილებით შემოისაზღვრება, რასაც ბევრ მათგანში ხელს უწყობს მოსახლეობის ერთგვაროვანი ეთნიკური შემადგენლობა” (17.153). სეპარატისტული ტენდენციები, როგორც წესი არ შეესაბამება აბორიგენი ეთნოსის მნიშვნელოვანი ნაწილის ინტერესებს და ძირითადად ინსპირირებულია ადგილობრივი ელიტის, ეთნოკრატიის მიერ. ხშირად სეპარატიზმი იკვებება არა იმდენად ეთნიკური, რამდენადაც რელიგიური თუ სხვა ფაქტორებით. სეპარატისტული დაჯგუფებების შექმნა არ წარმოადგენს მხოლოდ ჩამორჩენილი თუ განვითარებადი ქვეყნების ხვედრს. განვითარებული ქვეყნებიც არ არიან დაზღვეული მისგან. მაგალითად, ტეხასის შტატის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადების ცდა აშშ-ში და სხვა.

მმართველობის დეცენტრალიზაციის მიზნით შექმნილი ფედერაციები ტერიტორიულ ფედერაციებად იწოდება. ტერიტორიულ ფედერაციასაც აქვს თავისი პლუსები და მინუსები. კერძოდ, იგი ხელს უწყობს გარკვეული რეგიონის მოსახლეობას დამოუკიდებლად გადაწყვიტოს საკუთარი პრობლემები. ამასთან, ტერიტორიული ფედერაციის პირობებში არსებობს კომპაქტურად დასახლებული ეთნიკური უმცირესობის კოლექტიური უფლებების იგნორირების საშიშროება, ზოგადასახელმწიფოებრივ ინტერესებთან მიმართებაში. განსხვავებით ეროვნულ-ტერიტორიულისაგან, ტერიტორიული ფედერაციის შემთხვევაში გათვალისწინებული უნდა იქნას არა ერთი, არამედ მრავალი პოსტულატი, ამიტომ ტერიტორიული ფედერაცია კომპლექსური მიდგომით იქმნება და გათვალისწინებულია როგორც ეკონომიკური, ასევე ისტორიული, გეოგრაფიული, ეთნიკური და სხვა ფაქტორები.

გ. სიმეტრიული და ასიმეტრიული ფედერაციები. ფედერაციის დაყოფა სიმეტრიულ და ასიმეტრიულ ფედერაციად ეფუძნება ფედერაციის სუბიექტთა სამართლებრივ მდგომარეობას ფედერაციაში. ამ დაყოფას მხოლოდ იურიდიული საფუძველი აქვს. სხვა კრიტერიუმებით, ვთქვათ, ეკონომიკური, მოსახლეობის რაოდენობა, გეოგრაფიული და სხვა, ფედერაციის სუბიექტები თავისთავად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. *სიმეტრიულს (კომოგენურს) უწოდებენ ისეთ ფედერაციებს, რომელთა სუბიექტებს თანაბარი და ერთნაირი უფლებამოსილება აქვთ.* აბსოლუტურად სიმეტრიული ფედერაციები არ არსებობს. ავსტრია, მექსიკა, ბრაზილია უახლოვდებიან სიმეტრიული ფედერაციის პრინციპებს.

ასიმეტრიულია (დიფერენცირებულია) ფედერაცია, რომლის სუბიექტებს არათანაბარი სამართლებრივი მდგომარეობა უჭირავთ ფედერაციის შემადგენლობაში. ასიმეტრიული ფედერალიზმი შესაძლებელს ხდის რეგიონების განსაკუთრებული თავისებურებების გათვალისწინებას. ასიმეტრიულ ფედერაციას განეკუთვნება რუსეთის ფედერაცია, ინდოეთი, რომელშიც რამდენიმე შტატს უფრო ფართო უფლებები აქვს, ვიდრე სხვა შტატებს. ასევე აშშ-ის შემადგენლობაში 50 შტატთან ერთად შედის კოლუმბიის ფედერალური ოლქი და თავისუფლად მიერთებული ასოცირებული სახელმწიფო პუერტო-რიკო, რომლებსაც არ გააჩნიათ შტატის სტატუსი. ფედერაციული სახელმწიფოების არასუბიექტ ტერიტორიებს არ აქვთ თავიანთი კონსტიტუციები, არ ღებულობენ მონაწილეობას კონგრესის არჩევნებში, თუმცა მათ მიერ წარგზავნილი დელეგატები ჩართულნი არიან ქვეყნის წარმომადგენლობით ორგანოში,

არასუბიექტ ტერიტორიათა დელეგატების რაოდენობა ნაკლებია შტატებისათვის განსაზღვრულ დელეგატთა რაოდენობაზე (აშშ, ბრაზილია და სხვა). რაც შეეხება ასოცირებულ სახელმწიფოებს, ისინი თეორიულად დამოუკიდებელი სახელმწიფოებია, გაწევრიანებული არიან გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში. ასიმეტრიული ფედერაციის პრინციპებითაა მოწყობილი კანადაც. ტერიტორიული მოწყობის ასიმეტრიულ სახეს უნიტარულ სახელმწიფოებშიც შეიძლება შევხვდეთ მაგალითად, იტალიის ოცი ავტონომიური ოლქიდან ხუთი სარგებლობს სპეციალური სტატუსით, ასევე იმ შემთხვევაშიც, როცა სახელმწიფოების დედაქალაქებს მიკუთვნებული აქვთ განსხვავებული სტატუსი სხვა ტერიტორიულ ერთეულებთან შედარებით.

ცენტრალიზაციის ხარისხის მიხედვით შეიძლება განვასხვაოთ ინტეგრაციული ანუ ცენტრალიზებული ფედერაციული სახელმწიფო (ინდოეთი, სადაც შტატებს, ერთის გარდა, არ აქვთ კონსტიტუციები და მოქალაქეობა და სხვა) და დეკლუციური ანუ შედარებით დეცენტრალიზებული ფედერაციული სახელმწიფო (აშშ, გერმანია, შვეიცარია და სხვა).

3.5. ფედერაციის სუბიექტთა სამართლებრივი მდგომარეობის საფუძვლები. ფედერაციის სუბიექტებისათვის დამახასიათებელია შემდეგი ზოგადი ნიშნები:

- ფედერაციის სუბიექტებს აქვთ საკუთარი საკანონმდებლო უფლება. მათი პარლამენტის მიერ გამოცემული აქტები იწოდება კანონებად. გამონაკლისის სახით შეიძლება ითქვას, რომ არაბთა გაერთიანებულ საამიროებში, საამიროებს არ აქვთ პარლამენტი, კანონებს (ნიზამს) დებულობენ ემირები, თუმცა ეს ხდება იშვიათად, ვინაიდან მიღებულია,

რომ ყურანისა და სუნას კანუნები საკმარისად არეგულირებენ ადამიანთა ძირითად ურთიერთობებს;

- ფედერაციის სუბიექტთა პარლამენტები ქმნიან ფედერაციის სუბიექტთა მთავრობებს. აქაც არსებობს გამონაკლისები – მემკვიდრეობითი ემირები არაბთა გაერთიანებულ საამიროებში და მალაიზიის ცამეტიდან ცხრა შტატში ასრულებენ აგრეთვე მთავრობის ფუნქციებსაც;

- ფედერაციის კონსტიტუციაში მოცემულია ფედერაციისა და მისი სუბიექტების გამგებლობას მიკუთვნებული საკითხების გამოიწვევა;

- ფედერაციისთვის დამახასიათებელია ფედერაციის სუბიექტთა წარმოდგენა ქვეყნის პარლამენტში. ფედერაციის ორპალატიან პარლამენტში ერთი პალატა იქმნება ფედერაციის სუბიექტთა წარმომადგენლებისაგან და იცავს მის სპეციფიკურ ინტერესებს. ფედერაციის სუბიექტთა წარმომადგენლები ყველა სუბიექტისათვის შეიძლება იყოს თანაბარი (აშშ), ან არათანაბარი (ინდოეთი). ფედერაციის სუბიექტთა წარმომადგენლები შეიძლება არჩეული იქნან პირდაპირი არჩევნებით (ბრაზილია), ირიბი არჩევნებით (ინდოეთი), შეიძლება დაინიშნონ კიდევ (გერმანია), ფედერაციის სუბიექტების წარმომადგენლებისათვის პარლამენტში სპეციალური პალატა არ არსებობს ტანზანიაში.

რაც შეეხება ფედერაციის სუბიექტთა კონსტიტუციას, მოქალაქეობასა და სახელმწიფო ენას, სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა მდგომარეობასთან გვაქვს საქმე. მაგალითად, აშშ, ბრაზილიის, მექსიკის ყველა შტატს აქვს საკუთარი კონსტიტუცია, მაგრამ არ აქვთ ინდოეთის შტატებს, გარდა ერთისა, არ აქვთ პაკისტანის პროვინციებს. აშშ-საგან განსხვავებით ინდოეთში, პაკისტანში და რიგ

სხვა ფედერაციულ სახელმწიფოებში ფედერაციის სუბიექტებს არა აქვთ საკუთარი მოქალაქეობა. აშშ, მექსიკის შტატებში პრაქტიკულად შეუძლებელია ფედერაციის სუბიექტებს ჰქონდეთ საკუთარი სახელმწიფო ენა, რუსეთში კი აქვთ.

არსებობს ორი თეორიული მოდელი, რომელიც გვიხსნის ფედერაციისა და მისი სუბიექტების კომპეტენციის თანაფარდობას. ამ მოდელების მიხედვით, თუ ფედერაციული სახელმწიფო შექმნილია სახელმწიფო ხელისუფლების დეცენტრალიზაციის მიზნით, მაშინ მოქმედებს ფედერალური ხელისუფლების კომპეტენტურობის პრეზუმფცია, რაც იმას გულისხმობს, რომ ფედერალური ხელისუფლება, თავისი კონსტიტუციით, ამომწურავად განსაზღვრავს ფედერაციის სუბიექტთა კომპეტენციას და სხვა ყველა საკითხს თვითონ (ფედერალური ხელისუფლება) წყვეტს. იმ შემთხვევაში კი, როცა ფედერაციული სახელმწიფო ჩამოყალიბდა რამდენიმე დამოუკიდებელი სახელმწიფოს გაერთიანებით, რომლებმაც თავიანთი კომპეტენციის ნაწილი დათმეს ფედერაციის სასარგებლოდ, მოქმედებს ფედერაციის სუბიექტთა კომპეტენტურობის პრეზუმფცია, რაც იმას გულისხმობს, რომ ფედერაციის სუბიექტი ფლობს განსაკუთრებულ კომპეტენციას ყველა იმ საკითხში, რომელიც არ არის გადაცემული და ამდენად, არაა მიკუთვნებული ფედერაციის კომპეტენციას.

განახსენებენ ფედერაციასა და მის სუბიექტებს შორის გამგებლობის საგანთა გამიჯნვის ხუთ წესს:

პირველი წესის მიხედვით, კონსტიტუციაში მითითებულია ფედერაციის განსაკუთრებულ კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხები. ხოლო ფედერაციის სუბიექტის გამგებ-

ლობაში შედის ის საკითხები, რომლებიც არ არის მითითებული ფედერაციის კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხების ჩამონათვალში;

მეორე წების მიხედვით, დგინდება როგორც ფედერაციის გამგებლობას მიკუთვნებული საკითხები, ასევე ფედერაციის სუბიექტის გამგებლობას მიკუთვნებული საკითხები;

მესამე წების მიხედვით, დგინდება როგორც ფედერაციის გამგებლობას მიკუთვნებული საკითხები, ასევე ფედერაციისა და ფედერაციის სუბიექტების ერთობლივი გამგებლობისთვის მიკუთვნებული საკითხები და ფედერაციის სუბიექტებისათვის მიკუთვნებული საკითხები. მაგალითად, ინდოეთის 1949 წლის კონსტიტუციის დანართის მიხედვით ფედერალურ კომპეტენციას მიეკუთვნება 97 საკითხი, ერთობლივს 47, ხოლო შტატებისას 66. ბუნებრივია, საკითხების ასეთი სიმრავლის მიუხედავად, ყველაფრის გათვალისწინება მაინც შეუძლებელია და თუ აღმოჩნდება საკითხი, რომელიც ვერ მოხვდა ჩამონათვალში, იგი ნებისმიერ შემთხვევაში მიეკუთვნება ფედერაციის კომპეტენციას. რიგი ქვეყნების კონსტიტუციებით საკითხებს, რომლებიც არ შედის არცერთის კომპეტენციაში აწესრიგებს ფედერაციის სუბიექტი;

მეოთხე წები ითვალისწინებს საკითხთა დეტალური ჩამოთვლის ნაკლს და შემოაქვს ე.წ. „ღია“ ჩამონათვალი ფედერაციის სუბიექტებისათვის, რომელშიც შედის ყველა ის ნარჩენი უფლებამოსილება, რომელიც არ შევიდა არც ფედერაციისა და არც ფედერაციის სუბიექტისა და ფედერაციის ერთობლივ გამგებლობას მიკუთვნებულ ჩამონათვალში. თანამედროვე მსოფლიოში შეინიშნება ამ წესის ფართო გავრცელების ტენდენცია. მისი ერთგვარი ნაირსახეობაა კონკურენტული კომპეტენცია, რომლის მიხედვითაც

ფედერაციის სუბიექტებს აქვთ უფლება მიიღონ კანონი იმ განსაზღვრულ საკითხზე, რომელზედაც არ არსებობს ფედერაციის კანონი. მაგალითად, გერმანიის კონსტიტუცია საკანონმდებლო უფლებამოსილებათა სფეროში არ განსაზღვრავს ღანდების უფლებამოსილებებს და „კონკრეტული საკანონმდებლო უფლებამოსილების სფეროში ღანდებს მაშინ აქვთ საკანონმდებლო უფლებამოსილება, როდესაც ფედერაცია არ სარგებლობს ამ თავისუფლებებით“, მაშასადამე, კონკურირებადი კომპეტენცია გულისხმობს, რომ უფლებამოსილების გარკვეულ ნაწილში, ტერიტორიული ერთეულების აქტები მოქმედებენ მანამ, სანამ ცენტრი ამავ კომპეტენციაზე შესაბამის აქტებს გამოსცემდეს (22. 188-189);

იშვიათად მაგრამ მაინც იყენებენ *მეზოთე წესს*, რომლის მიხედვითაც ჩამოთვლილია მხოლოდ ფედერაციის სუბიექტების კომპეტენციისათვის მიკუთვნებული საკითხები, რაც ფედერაციის სუბიექტებს აძლევს ფედერაციის ორგანოთა მათ კომპეტენციაში ჩაურევლობის საკმაო გარანტიას. ეს წესი, სხვა წესებთან ერთად, გამოიყენება მაგალითად აშშ-ში, მექსიკაში და ზოგიერთ სხვა ქვეყანაში.

განასხვავებენ ფედერაციის სუბიექტებზე ფედერალური ხელისუფლების კონტროლის ორდინალურ და საგანგებო სახეებს. ორდინალური კონტროლი დაკავშირებულია ფედერალური კანონმდებლობის მოქმედებასთან, რომელიც გარკვეულ ჩარჩოებში აქცევს ფედერაციის სუბიექტს. ორდინალური კონტროლის სახეს მიეკუთვნება ფედერალური აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების საქმიანობა, რომელთა გადაწყვეტილებები სავალდებულოა მთელი ქვეყნისათვის. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება

ფინანსურ კონტროლს ფედერალური ორგანოების მხრიდან და სხვა.

რაც შეეხება კონტროლის საგანგებო წესებს, მას მიეკუთვნება შემდეგი სამი ძირითადი საშუალება:

- *საგანგებო მდგომარეობის შემოღება ფედერაციის სუბიექტის ტერიტორიაზე.* საგანგებო მდგომარეობის დროს იზღუდება პოლიტიკური და პირადი უფლებები, შესაძლებელია გარკვეულ პირთა პრევენციული დაკავებაც, ადგილობრივი არჩევითი ორგანოების დათხოვნა და სხვა. საგანგებო მდგომარეობის შემოღება გარკვეული ვადით (30-60 დღე) ხდება, თუმცა შესაძლებელია მისი რამდენჯერმე გაგრძელება;

- *ფედერალური ინტერვენცია.* კონტროლის ეს წესი აშშ-სთვისაა დამახასიათებელი. ამერიკის პრეზიდენტი, ფლობს რა შეიარაღებული ჯარების მთავარსარდლის კონსტიტუციურ სტატუსს, შტატების ნაციონალურ (სახელმწიფო) გვარდიას იყენებს სხვადასხვა სახის კანონსაწინააღმდეგო მასობრივი გამოსვლების აღსაკვეთად. ეს არაერთხელ მოხდა არკანზასის, მისისიპის, ჯორჯიის და სხვა შტატებში. ფედერალურ ინტერვენციას ითვალისწინებს ლათინური ამერიკის კონსტიტუციებიც;

- *საპრეზიდენტო მმართველობის შემოღება.* საპრეზიდენტო მმართველობის შემოღება გულისხმობს ფედერაციის სუბიექტის მთავრობის ფუნქციების გადასვლას პრეზიდენტის ხელში. ფედერაციის სუბიექტის პარლამენტისა და მთავრობის საქმიანობა ჩერდება, ზოგჯერ ხდება მათი დათხოვნაც, საკანონმდებლო ფუნქცია გადაეცემა ფედერალურ პარლამენტს. საპრეზიდენტო მმართველობის შემოღება არ შეიძლება 6 თვეზე მეტ ხანით, თუმცა შესაძლებელია

მისი არაერთგზის გაგრძელება. საპრეზიდენტო მმართველობის შემოღებას ითვალისწინებს ინდოეთისა და პაკისტანის კანონმდებლობა.

3.6. სახელმწიფოთა არატრადიციული გაერთიანებები. ფედერაციული სახელმწიფოსაგან, როგორც სპეციფიკურად ორგანიზებული კავშირისაგან განსხვავებით, არსებობს სახელმწიფოთა არატრადიციული საერთაშორისო გაერთიანებები, რომლებსაც გარდამავალი ხასიათი აქვთ. ასეთი გაერთიანებებია: კონფედერაცია, უნია, პროტექტორატი, იმპერია, მეტროპოლია, ასოცირებული სახელმწიფო და სხვა. აქვე განვიხილავთ იმპერიასაც, როგორც სახელმწიფოს მოწყობის არატრადიციულ ფორმას. დავახასიათოთ თითოეული მათგანი:

კონფედერაცია (მომდინარეობს ლათინური სიტყვისაგან confederation) ნიშნავს სუვერენული სახელმწიფოების დროებით გაერთიანებას, კავშირს, საერთო ინტერესების განსახორციელებლად. კონფედერაციაში შემავალი სახელმწიფოები ინარჩუნებენ სუვერენიტეტს სრული მოცულობით. კონფედერაცია ხასიათდება, როგორც საერთაშორისო-სამართლებრივი, ასევე სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის ნიშნებით. იგი იქმნება გარკვეული მიზნის მისაღწევად და მის წინაშე დასმული მიზნის მიღწევის შემდეგ, ჩვეულებრივ, იშლება ხოლმე. ფედერაციული სახელმწიფოსაგან განსხვავებით კონფედერაცია დამოუკიდებელ სახელმწიფოთა კავშირია, ფედერაცია კი დამოუკიდებელი სახელმწიფო.

კონფედერაციისთვის დამახასიათებელია შემდეგი ნიშნები:

- კონფედერაცია იქმნება შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე;

- კონფედერაციის სუბიექტებს აქვთ კონფედერაციიდან თავისუფალი გასვლის უფლება;

- კონფედერაციულ სახელმწიფოს არ აქვს საერთო საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ორგანოები. კონფედერაციის ორგანოები იქმნება მასში შემავალი სუვერენული სახელმწიფოების წარმომადგენლებისაგან, რომლებიც იხილავენ და წყვეტენ მხოლოდ იმ საკითხებს, რის გამოც მოხდა მათი გაერთიანება მოცემულ კონფედერაციაში;

- კონფედერაციას არ ჰყავს ერთიანი არმია, არ აქვს გადასახადების ერთიანი სისტემა, ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტი. მათი არმია (თუ ასეთის შექმნას მოითხოვს კონფედერაციის მიზანი) წარმოადგენს კონფედერაციაში შემავალი სახელმწიფოების კონტიგენტის საერთო მხედართმთავრობის ქვეშ, ხოლო ბიუჯეტს კონფედერაციაში შემავალ სახელმწიფოთა შენატანები;

- კონფედერაციას არ აქვს საკავშირო მოქალაქეობა;

- კონფედერაციას დროებითი ხასიათი აქვს, იგი ან იშლება დამოუკიდებელ სახელმწიფოებად (მაგ., სენეგამბიის კავშირი 1981-1989წწ.) ან გადაიქცევა ფედერაციად (მაგ., აშშ, შვეიცარია);

- კონფედერაციის დონეზე მიღებული აქტები ძალაში შედიან კონფედერაციაში შემავალი სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების მიერ მათი დამტკიცების შემდეგ;

- კონფედერაციის მუდმივმოქმედი სახელმწიფო ორგანოები მოკლებული არიან სახელისუფლებო უფლებამოსილებებს, ანუ ისეთ უფლებას, რომლის განხორციელე-

ბისტოვის არაა საჭირო მეორე მხრის თანხმობა და რომლის უკანაც სახელმწიფო მექანიზმია;

- კონფედერაციის სუბიექტებს აქვთ ნულიფიკაციის უფლება, ანუ უფლება უარი თქვან საკავშირო ხელისუფლების აქტების ცნობაზე ან გამოყენებაზე;

- კონფედერაციის სუბიექტებს აქვთ უფლება დაადგინონ საბაჟო ან სხვა შეზღუდვები (11. 78).

უნია (მომდინარეობს ლათინური სიტყვისაგან *unios*, ქართულად ერთიანი, მთლიანი) რამდენიმე სახელმწიფოს გაერთიანება, კავშირი ერთ–ერთ სახელმწიფოს – სუვერენის მეთაურობით (უნიად იწოდება საერთო რწმენის მქონე ერთი ან რამდენიმე ეკლესიის გაერთიანებაც. მაგალითად, 1596 წლის ბრესტის უნია). განასხვავებენ *პერსონალურ* და *რეალურ* უნიას. პერსონალური (პიროვნული) უნია გულისხმობს მონარქიული სახელმწიფოების გაერთიანებას ერთი მონარქის მეთაურობით, ისე, რომ უნიაში შემავალი თითოეული სახელმწიფო ინარჩუნებს საკუთარ სახელისუფლო და მმართველობით სტრუქტურებს. პერსონალურ მონარქიებში საერთო მონარქის ხელისუფლება ნომინალურია. რეალური (ორგანული) უნიის შემთხვევაში, უნიაში შემავალ სახელმწიფოებს ჰყავთ არა მარტო სახელმწიფოს საერთო მეთაური, არამედ ისინი აერთიანებენ აგრეთვე ხელისუფლებასა და მმართველობის რიგ მნიშვნელოვან ორგანოებსაც, ხშირად, უნიაში შემავალი სახელმწიფოებისათვის ერთიანი საგარეო პოლიტიკის გატარების მიზნით. ისტორიულად არსებობდა კალმარის (1397 წ.), უტრეხტის (1579 წ.), შვედეთისა და ნორვეგიის უნია (1814-1905 წწ.), ავსტრიისა და უნგრეთის უნია (1867-1918 წწ.) და სხვა (28. 378-379). საერთაშორისო ურთიერთობებში რეალური უნია გამოდიოდა

როგორც ერთიანი დამოუკიდებელი სახელმწიფო, თუმცა, ამით უნიაში შემაჯალ სახელმწიფოებს სუვერენიტეტი არ ეკარგებოდა.

პროტექტორატი (მომდინარეობს ლათინური სიტყვისაგან **protector**, ქართულად დამცველი, მფარველი) სახელმწიფოთა შედარებით სუსტი კავშირია, უფრო სწორედ იგი წარმოადგენს ძლიერ და სუსტ სახელმწიფოთა კავშირს საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე, რომლის მიხედვითაც ძლიერი სახელმწიფო (პროტექტორი) სუსტი სახელმწიფოს (პროტექსს) სახელით გამოდის საგარეო ურთიერთობებში და თავისთავზე იღებს მის მფარველობას, კისრულობს მის შეიარაღებულ დაცვას, უზრუნველყოფს პროტექსს ტერიტორიულ მთლიანობას და უშიშროებას. პროტექსს სახელმწიფოებს შენარჩუნებული აქვთ მხოლოდ ადმინისტრაციულ საკითხებზე საერთაშორისო ორგანიზაციებში მონაწილეობის უფლება. ზოგი მკვლევარის აზრით, 1783 წლის რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულება პროტექტორატს წარმოადგენდა. ცნობილია საფრანგეთის პროტექტორატი მონაკოზე, იტალიის პროტექტორატი სან-მარინოზე.

იმპერია (მომდინარეობს ლათინური სიტყვიდან **imperium**, ქართულად ხელისუფლება, ძალა) რთული, მრავალეროვანი სახელმწიფოს წარსულში გავრცელებული სახეა, იგი იქმნება დაპყრობისა და ძალის საშუალებით, სხვადასხვა ეთნიკური და ტერიტორიული ერთეულებისაგან მკაცრი ცენტრალიზაციის წყალობით. იმპერიის მეთაური – იმპერატორი, განუსაზღვრელ ხელისუფლებას ფლობს. იმპერია არის დიდი ტერიტორიის მფლობელი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი, რომელიც თავის თავში მოიცავს, როგორც

წესი, ომის გზით შემოერთებულ და ძალით დაქვემდებარებულ ხალხებსა და ტერიტორიებს.

ზოგი მკვლევარი ერთმანეთისაგან განასხვავებს *იმპერია-კონგლომერატს* და *იმპერია იერარქიას*. მათი აზრით, იმპერია კონგლომერატი ისეთი სახელმწიფოებრივი გაერთიანებაა, რომლის ნაწილები არ არიან ერთმანეთთან დაკავშირებული ეკონომიკურ-კულტურული ერთობით და ასეთი იმპერიები, იმის გამო, რომ არ გააჩნიათ შინაგანი კავშირი, სწრაფად იშლება, ზოგჯერ მისი შემქმნელის სიკვდილისთანავე. ხოლო იმპერია-იერარქია, გულისხმობს ხალხის გაერთიანებას, დაქვემდებარების სხვადასხვა დონის მიხედვით, მყარ კავშირებს. ასეთ იმპერიებში, მათი აზრით, გამოკვეთილია დომინირებული ნაცია (45.100-104).

მეტროპოლია (ბერძ. Meter-დედა, polis-ქალაქი) მე-20 საუკუნის 60-იან წლებამდე კოლონიურ დამოკიდებულებაში მყოფი სახელმწიფოების ურთიერთობის გავრცელებული ფორმა იყო. მეტროპოლიას უწოდებენ კოლონიურ სახელმწიფოს. მეტროპოლური დამოკიდებულება საკმაოდ მრავალფეროვანია, მეტროპოლიის პირობებში დამოკიდებული ტერიტორიის მოსახლეობა, როგორც წესი, არ ითვლება მეტროპოლიის სრულუფლებიან მოქალაქეებად, ისინი არ ღებულობენ მონაწილეობას მეტროპოლიის არც პარლამენტისა და არც სხვა არჩევითი ორგანოების არჩევნებში, მაშინ, როცა აღნიშნული ორგანოების მიერ გამოცემული აქტები შესასრულებლად აუცილებელია დამოკიდებული ქვეყნების მოსახლეობისათვის. კოლონიური მმართველობის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანი ისიც იყო, რომ მეტროპოლია ნიშნავდა კოლონიურ ქვეყანაში ადმინისტრაც-

ტორს, რომლის ხელშიც თავმოყრილი იყო მთელი ხელი-სუფლება.

ასოცირებული სახელმწიფო. საერთაშორისო-სამართლებრივი თვალსაზრისით, ასოცირებული სახელმწიფო წარმოადგენს მეტ-ნაკლებად დამოუკიდებელ ქვეყანას, რომელიც ამა თუ იმ სახელმწიფოსთან დაკავშირებულია განსაკუთრებული ხელშეკრულებით და მასთან ერთად აყალიბებს საბაჟო და ფულად კავშირს. ასოცირებულ სახელმწიფოს მიეკუთვნება ბუტანი, რომლის საგარეო გამგებლობას მიეკუთვნებულ საკითხებს განაგებს ინდოეთი. ასოცირებული სახელმწიფოა ლიხტენშტეინი, რომელიც შვეიცარიასთან ერთად ქმნის ერთიან საბაჟო და ეკონომიკურ კავშირს (32. 52-53).

3.7. საქართველოს ტერიტორიულ-სახელმწიფოებრივი მოწყობის საკითხი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუცია ანიჭებდა რა ავტონომიურ მმართველობას ადგილობრივ საქმეებში აფხაზეთს (სოხუმის ოლქი), სამუსლიმანო საქართველოს (ბათუმის ოლქი) და ზაქათალას (ზაქათალას ოლქი) (მ.107), ამით ფაქტობრივად მხარს უჭერდა დეცენტრალიზებული უნიტარული სახელმწიფოს კონცეფციას.

საქართველოს 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუცია, საქართველოს ტერიტორიულ-სახელმწიფოებრივ მოწყობას განუსაზღვრელს სტოვებს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე საქართველოს იურისდიქციის სრულ აღდგენამდე (მ.2.პ.3). ხოლო ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე საქართველოს იურისდიქციის სრულ აღდგენის შემდეგ, საქართველოს ტერიტორიულ-სახელმწიფოებრივ მოწყობას ითვალისწინებს უფლებამოსილებათა გამიჯვნის პრინციპის საფუძველზე. ამავე

კონსტიტუციის მე-4 მუხლის მიხედვით „საქართველოს მთელ ტერიტორიაზე შესაბამისი პირობების შექმნისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ფორმირების შემდეგ საქართველოს პარლამენტის შემადგენლობაში იქმნება ორი პალატა: რესპუბლიკის საბჭო და სენატი. რესპუბლიკის საბჭო შედგება პროპორციული წესით არჩეული წევრებისაგან. სენატი შედგება აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში და საქართველოს სხვა ტერიტორიულ ერთეულებში არჩეული წევრებისა და საქართველოს პრეზიდენტის მიერ დანიშნული 5 წევრისაგან“. როგორც ვხედავთ, საქართველოს კონსტიტუცია ორპალატიანი პარლამენტის შექმნას გეგმავს, რომლის ერთი პალატაც ტერიტორიული ერთეულებისა და პრეზიდენტის მიერ კომპლექტდება. ასეთი პარლამენტი ჩვეულებრივ, ფედერაციული ან დეცენტრალიზებული უნიტარული სახელმწიფოსთვისაა დამახასიათებელი. ეს კი ნიშნავს რომ საქართველო მომავალში ან ფედერაციული ან დეცენტრალიზებული უნიტარული სახელმწიფო უნდა გახდეს. საქართველოს სახელმწიფოს მომავალი ტერიტორიულ-სახელმწიფოებრივი მოწყობა, თუ ფედერაციული იქნება იგი, უნდა წარმოადგენდეს არა წევრი სუბიექტებისაგან, არამედ ნაწილი სუბიექტებისაგან შემდგარ ერთიან ორგანულ მთელს და არა სუმატურ ანუ მექანიკურ მთელს. სუმატურ მთელში ნაწილები პირველადია, მთელი კი მეორადი. ორგანულში პირიქით, მთელი პირველადია, ნაწილები მეორადი (15.20). საქართველო, როგორც ორგანული მთელი, არ წარმოადგენს უკვე არსებული ნაწილების მექანიკური შეკრების გზით შედგენილ მთელს, იგი იმთავითვე არსებული მთელია, რომელიც თავის ნაწილებს თავის თავში შეიცავს

და წარმოშობს. ამიტომ, საქართველოში, როგორც ორგანულ მთელში, მთელი პირველადი უნდა იყოს, ნაწილები კი მეორადი, ანუ მთელიდან უნდა ხდებოდეს ნაწილებზე გადასვლა და არა ნაწილებიდან მთელზე.

დღეისათვის მუხირებს აზრი საქართველოს ასიმეტრიული ფედერაციის ფორმით მოწყობის შესახებ (28.155-156), ორგანული მთელიც უშვებს თავის ნაწილებს შორის რომელიმე მათგანზე პრიორიტეტის მინიჭებას („ხუთის ნაწილია ოთხიც და ერთიც“), ოღონდ არა მთელის გაპირობების თვალსაზრისით, არამედ ფუნქციური თვალსაზრისით.

საქართველოს „გამოუცხადებელ“ თუ „ბუნებრივ“ ფედერაციად აცხადებენ (9. 375), ისტორიულად საქართველოს ნაწილები ყოველთვის მთელის სამსახურს ისახავდა მიზნად, მაშინაც კი, როცა მისი რომელიმე ნაწილი მთელად გახდომისაკენ მიისწრაფოდა. ამ მისწრაფებაში იმალებოდა კუთხის დაფარული პოტენცია, ცენტრალური ხელისუფლების უუნარობის პირობებში გადაერჩინა საკუთარი თავი, როგორც მთელის – მთლიანი საქართველოს გადარჩენის (აღორძინების) საწინდარი (10). ორგანული მთელის ნაწილებიც მთელის სამსახურს ისახავენ მიზნად. ნაწილები არსებობენ მთელში და მთელის საშუალებით. „მთელი უსწრებს წინ ნაწილებს, რადგან ნაწილებს ცნება მთელისაგან აქვს“ (3. 152.).

ნებისმიერი მთელის არსებობის საფუძველს ერთიანობა წარმოადგენს. მთელი ნაწილების ერთიანობაა. ნაწილები ერთიანდებიან მათთვის დამახასიათებელი ისეთი საერთო ნიშან-თვისებებით, რომელთა საფუძველზეც წარმოიშობა ემპერჯენტული (*მთელისთვის დამახასიათებელი ისეთი თვი-*

სება, რომელიც არ ახასიათებს ცალკე აღებულ მის შემადგენელ ელემენტებს) თვისებრიობა. ასეთ გამაერთიანებელ საღტედ, ილია ჭავჭავაძე ისტორიას მიიჩნევს, ისტორიას, რომელიც საქართველოს მოსახლეობას ერთიანი ბედის განცდისა და ერთიანი მომავლის მოაზრების საშუალებას აძლევს. „არც ერთობა ენისა, არც ერთობა სარწმუნოებისა და გვარტომობისა ისე არ შემსჭვალავს ხოლმე ადამიანს ერთმანეთთან, როგორც ერთობა ისტორიისა” (30.9), რის შესახებაც ისაუბრა კიდევ საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ცხინვალის რეგიონის ავტონომიაზე მსჯელობისას, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის სხდომაზე, 2005 წლის 26 იანვარს. მან ბრძანა, „ვინაიდან ჩვენ საერთო ისტორია, მიწა და მომავალი გვაქვს, ჩვენი საზოგადოებები ერთობლივი ძალებით უნდა ავადორძინოთ და გავაერთიანოთ” (24).

4. სახელმწიფოს ფორმები პოლიტიკური (სახელმწიფო) რეჟიმის მიხედვით

გასული საუკუნის 60-იან წლებში სამეცნიერო სიტყვა-ხმარებაში შემოვიდა „პოლიტიკური რეჟიმის“ ცნება. ამ ცნების ქვეშ მოიაზრებენ პოლიტიკური ხელისუფლების განხორციელების ხერხების, მეთოდებისა და ფორმების ერთობლიობას, მოქალაქეებთან და მათ მიერ შექმნილ გაერთიანებებთან სახელმწიფოს ურთიერთობის ფორმებსა და მეთოდებს (59.79). ამ ტერმინის გვერდით არსებობს „სახელმწიფოს რეჟიმის“ ტერმინიც, რომლითაც აღინიშნავენ სახელმწიფო სტრუქტურების მართვის ფორმებს. პოლიტიკური რეჟიმი სახელმწიფოს რეჟიმის მომცველი ფართო ცნებაა (56. 124-125). სახელმწიფო საზოგადოების პოლიტიკური ორგანიზაციაა და იგი ქმნის პოლიტიკურ ამინდს ქვეყანაში. მისი პოლიტიკის განხორციელების ფორმებზე და მეთოდებზე დამოკიდებული სხვა არასახელმწიფოებრივი ორგანიზაციების პოლიტიკური საქმიანობის ფორმები და მეთოდები. ამ თვალსაზრისით (ფუნქციური თვალსაზრისით), “პოლიტიკური რეჟიმისა” და “სახელმწიფო რეჟიმის” ცნებები სინონიმურ ცნებებად მიგვაჩნია.

სახელმწიფოს მმართველობისა და ტერიტორიულ-სახელმწიფოებრივი მოწყობის ფორმა სახელმწიფოში ხელისუფლების ფორმალურ ორგანიზაციას წარმოადგენს, პოლიტიკური რეჟიმი კი სახელმწიფოს ორგანობებსა და პოლიტიკურ დაწესებულებებს შორის სახელმწიფო ხელისუფლების რეალური თანაფარდობისა და გადანაწილების გამომხატველი კატეგორიაა, იგი სახელმწიფო ხელისუფლების ფუნქციური

მახასიათებელია, რის გამოც, პოლიტიკური რეჟიმის ფორმა, შეიძლება სახელმწიფოს შინაგან ფორმად მივიჩნიოთ, ხოლო მმართველობისა და ტერიტორიული მოწყობის ფორმები გარეგან ფორმად. რაც იმას გულისხმობს, რომ პოლიტიკური რეჟიმი მმართველობისა და ტერიტორიული მოწყობის ფორმებთან შედარებით უფრო მეტად განსაზღვრავს სახელმწიფოს შინაარსს და შესაბამისად, პოლიტიკური რეჟიმი, მმართველობისა და ტერიტორიული მოწყობის ფორმებთან შედარებით უფრო ავლენს სახელმწიფოს შინაარსს.

პოლიტიკური რეჟიმები მრავალგვარია, ამ მრავალფეროვნებას განაპირობებს სხვადასხვა ფაქტორი, კერძოდ: სახელმწიფოს წინაშე დასმული ამოცანების არსი; კანონმდებლობის ხასიათი; სახელმწიფო ორგანოების ფაქტიური უფლებამოსილება და მათი მოღვაწეობის იურიდიული ფორმები; სახელმწიფოში არსებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ძალების თანაფარდობა; ცხოვრების დონე და სტანდარტები; ეკონომიკის მდგომარეობა; ქვეყნის ისტორიული ტრადიციები; საერთაშორისო მდგომარეობა და სხვა და სხვა.

სახელმწიფოს პოლიტიკური რეჟიმების მრავალფეროვნების მიუხედავად შესაძლებელია მათი დაყოფა ორ ძირითად სახედ – *ანტიდემოკრატიულ და დემოკრატიულ რეჟიმებად.*

4.1. ანტიდემოკრატიული რეჟიმი. *ანტიდემოკრატიული რეჟიმი სამართლით შეუზღუდავი ხელისუფლების პოლიტიკური რეჟიმი, რომელიც ეფუძნება ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების უგულებელყოფას და ერთი პიროვნებისა თუ პიროვნებათა ჯგუფის მიერ დიქტატურის დამყარებას.*

ანტიდემოკრატიულ პოლიტიკურ რეჟიმს მიეკუთვნება *დესპოტური, ტირანული, ტოტალიტარული, ფაშისტური, ავტორიტარული, სამხედრო, სულთანისში და სხვა* პოლიტიკური რეჟიმები.

დესპოტური რეჟიმი გულისხმობს მმართველობის სრულ თვითნებობას სახელმწიფოს მართვაში, ქვეშევრდომთა უსიტყვო მორჩილებას ხელისუფალისადმი.

ტირანული რეჟიმი არსით დესპოტურია, იმ განსხვავებით რომ იგი ხშირად ძალადობისა და დაპყრობის გზით მყარდება.

ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში სახელმწიფო სრულ კონტროლს აწესებს პიროვნებაზე. იგი ეჭრება და აკონტროლებს ყველა სოციალურ ინსტიტუციას და ამდენად აუქმებს სამოქალაქო საზოგადოებას და პირად ცხოვრებას (33.390).

ტოტალიტარული რეჟიმის თეორიულ საფუძველს გარკვეულად პესიმისტური ანთროპოლოგიაც ამზადებს. ამ ანთროპოლოგიის მიხედვით ადამიანი არასრულყოფილია, ამიტომ მისი “ბედის განგებისადმი” მინდობა არ შეიძლება და საჭიროა ე.წ. პროგრამირებული ჩარევა მის ცხოვრებაში. ე.ი. ტოტალიტარიზმი ადამიანის თავისუფლების იდეის აღიარებას ემყარება, ოღონდ თვლის, რომ ადამიანმა თავისუფლება ბოროტად რომ არ გამოიყენოს, აუცილებელია მისი ცხოვრების დეტალებამდე დაპროგრამება, გათვლილი იძულება, ტოტალიტარულ წესრიგს დაქვემდებარება. პესიმისტური ანთროპოლოგია გამორიცხავს ადამიანის საქმიანობის ნებისმიერ არასახელმწიფო სფეროს. მისი აზრით, „ზნეობრივად დაცემულ ადამიანთა” შეჩერება შესაძლებელია

მხოლოდ ყოველისმომცველი იძულებითი წესრიგიდან გამომდინარე წესების დაცვით (32.25).

განასხვავებენ ტოტალიტარული რეჟიმის შემდეგ ნიშნებს:

- ხელისუფლების საყოველთაო მონოპოლიზაცია და ცენტრალიზაცია სახელმწიფო ბიუროკრაციის ხელში;

- ერთი მასობრივი მონოლითური, მკაცრი იერარქიის მქონე პარტიის არსებობა, რომელიც ფაქტობრივად არც არის ჩვეულებრივი აზრით გაგებულ პარტია, იგი შერწყმულია სახელმწიფო აპარატთან და წარმოადგენს ტოტალიტარული სახელმწიფო მექანიზმის ძირითად ორგანიზაციულ სტრუქტურას. სახელმწიფო ხელისუფლების გარეშე აღნიშნული პარტია უუნაროა და ხშირ შემთხვევებში იშლება კიდევ ტოტალიტარული რეჟიმის დამხობასთან ერთად;

- ქარიზმატიული ლიდერის დიქტატურის არსებობა, რომელიც „ნათელი მომავლის“ მოახლოების მუდმივ პერსპექტივას ქადაგებს და რომლის კრიტიკაც მკაცრად ისჯება სახელმწიფოს მიერ;

- სახელმწიფოს კონტროლი და მონოპოლია საინფორმაციო საშუალებებზე;

- ეკონომიკის დაქვემდებარება სახელმწიფოზე;

- პიროვნების უფლებებისა და თავისუფლებების, მისი თავისუფალი განვითარების შეზღუდვა;

- სახელმწიფოს კონტროლი საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროზე;

- საზოგადოებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების პოლიტიზაცია და იდეოლოგიზაცია, პოლიტიკური, საზოგა-

დოებრივი და სულიერი ცხოვრების უნიფიკაცია და რეგლამენტაცია;

- მოსახლეობის მუდმივი დაიმედება უტოპიური გლობალური იდეებით, საზოგადოების გარდაქმნა-განახლების შესახებ.

ტოტალიტარული რეჟიმი მთლიანად დაფუძნებულია პარტიულ-სახელმწიფოებრივი მანქანის მხრიდან ფსიქიკურ, ფიზიკურ თუ იდეოლოგიურ იძულებაზე. ამ რეჟიმის პირობებში სახელმწიფო ორგანოების მთელი საქმიანობა მიმართულია „ბელადის“ მითითებების უსიტყვო შესრულებაზე. პიროვნება, როგორც ასეთი, სახელმწიფო ორგანოების საქმიანობაში იგნორირებულია. მოქალაქეთა პოლიტიკური აქტიობა ნულის ტოლია. ასეთი რეჟიმი დამახასიათებელი იყო ფაშისტური სახელმწიფოებისათვის.

ტოტალიტარული რეჟიმების მქონე სახელმწიფოთა რიცხვმა მე-20 საუკუნის 80-იანი წლებიდან საგრძნობლად იკლო, ამ პერიოდის თვით საბჭოთა ტიპის რეჟიმებიც არ შეესაბამებოდა კლასიკური ტოტალიტარული რეჟიმის კლასიფიკაციას, რის გამოც ამ ტიპის რეჟიმების აღსანიშნავად შემოდებული იქნა პოსტტოტალიტარული რეჟიმის ცნება. პოსტტოტალიტარული და ტოტალიტარული რეჟიმები ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ოფიციალური იდეოლოგიასთან მიმართებაში. პოსტტოტალიტარული რეჟიმის პირობებშიც არსებობს ოფიციალური იდეოლოგია, როგორც სახელმწიფოს ოფიციალური დოგმა, მაგრამ მისდამი ერთგულება და რწმენა, თვით სახელმწიფოს ლიდერთა შორისაც მინიმალურია, მოსახლეობისათვის კი იგი მხოლოდ აუცილებელი რიტუალური ატრიბუტია და მეტი არაფერი (29.76), მაშინ როცა, კლასიკური ტოტალიტარიზმის პირო-

ბებში, ოფიციალური იდეოლოგიისადმი რწმენა საკმაოდ მაღალია, როგორც სახელისუფლებო მაღალ ეშელონებში, ასევე მოსახლეობაში.

ფაშისტური რეჟიმი ტოტალიტარული რეჟიმის ნაირ-სახეობაა, რომლის სპეციფიკა იმაში მდგომარეობს, რომ მისი იდეოლოგია ეფუძნება რასიზმს. ფაშისტური სახელმწიფო ყველა საშუალებებითა და მეთოდებით ცდილობს უზრუნველყოს ერთი რასის იურიდიული და ფაქტობრივი ბატონობა სხვა რასებზე.

ავტორიტარული რეჟიმი ხასიათდება სახელმწიფო ხელისუფლების მონოპოლიით და სახელმწიფოს პოლიტიკურ ცხოვრებაზე კონტროლით, მაგრამ ტოტალიტარიზმისაგან განსხვავებით იგი არ ცდილობს პიროვნებებზე სრულ ბატონობას. ავტორიტარული პოლიტიკური რეჟიმი ერთგვარი შუალედური რეჟიმია ანტიდემოკრატიულ და დემოკრატიულ რეჟიმებს შორის. მისი ძირითადი მახასიათებელი ისაა, რომ იგი არ ატარებს ტოტალიტარულ ხასიათს, ანუ არ ხდება საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროზე სახელმწიფოს კონტროლი. არ არის ყველასათვის სავალდებულო ერთიანი იდეოლოგია. ავტორიტარული რეჟიმი ხშირად თავს მაშინ იჩენს, როცა ხელისუფლება ცდილობს ძირეული რეფორმების გატარებას საზოგადოებრივ ცხოვრებაში (ესპანეთი, ჩილე). მიუხედავად ამისა, იგი დემოკრატიის ანტიპოდი, ის არ ცნობს ხალხს, როგორც ხელისუფლების უმაღლეს წყაროს. თანამდებობის პირები ავტორიტარიზმის პირობებში ინიშნება ზემოდან, მისთვის უცხო არ არის კოოპტაციის წესიც. მართალია, ავტორიტარულ სახელმწიფოში არ არსებობს ლეგალური ოპოზიცია, მაგრამ შესაძ-

ლებელია არსებობდეს ხელისუფლების მიერ კონტროლირებადი პარტიები, პროფკავშირები და სხვა ორგანიზაციები.

ავტორიტარიზმის სუსტ მხარეს წარმოადგენს სახელმწიფო პოლიტიკის სრული დამოკიდებულება სახელმწიფოს მეთაურის პოზიციაზე.

ავტორიტარული რეჟიმის ქვეყნებში სჭარბობს იძულების მეთოდები, თუმცა შეინიშნება მოჩვენებითი ლიბერალური ღირებულებების არსებობაც. ქვეყანაში მოქმედებს წარმომადგენლობითი ორგანოები, მაგრამ მათი არჩევნები ფორმალურ ხასიათს ატარებს, ვინაიდან პოლიტიკური ოპოზიციის საქმიანობა ფაქტობრივად შეწყვეტილია. ავტორიტარული რეჟიმის ქვეყნებია მალაიზია, ტაილანდი, სირია, ჰონდურასი და სხვა.

ავტორიტარული რეჟიმი ხასიათდება შემდეგი ნიშნებით:

- ავტოკრატიზმი ანუ ხელისუფლების მატარებელი ერთი პიროვნება ან პიროვნებათა ჯგუფი;
- ხალხი გაუცხოებულია ხელისუფლებისაგან;
- ხელისუფლებისა და პოლიტიკის მონოპოლიზაცია. პოლიტიკური ოპოზიციის არ არსებობა;
- ხელისუფლების მკაცრი ცენტრალიზაცია;
- საზოგადოებრივ ცხოვრებაზე ტოტალიტარული კონტროლისაგან თავის შეკავება;
- საზოგადოებრივი ცხოვრების არაპოლიტიკურ, განსაკუთრებით ეკონომიკურ ცხოვრებაში ჩაურევლობა ან შეზღუდული ჩარევა;
- ხელისუფლების ზრუნვა საკუთარ უსაფრთხოებაზე.

სამხედრო რეჟიმი ისეთი პოლიტიკური რეჟიმი, რომლის დროსაც სახელმწიფოს სათავეში დგას სამხედრო ხუნტა, რომელიც ხელისუფლებაში მოვიდა სახელმწიფო გადატრია-

ლების გზით. სამხედრო გადატრიალებები ხშირად პროგრესიული ეკონომიკური რეფორმების, პოლიტიკური სტაბილურობის, კორუფციის ლიკვიდაციის მიზნით ხდება, თუმცა, შედეგები ყოველთვის არაა შესაბამისი.

სამხედრო რეჟიმისათვის დამახასიათებელია:

- ხელისუფლების გადასვლა სამხედრო დაჯგუფების ხელში სამხედრო გადატრიალების გზით;

- კონსტიტუციის გაუქმება;

- პარლამენტის, ადგილობრივი ორგანოების დათხოვნა და მისი შეცვლა სამხედრო ორგანოებით;

- ადამიანის პოლიტიკური უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვა;

- სამხედრო ხუნტასთან საკონსტიტუციო ორგანოების შექმნა და სხვა.

სულთანზიმისთვის დამახასიათებელია ოჯახური მმართველობა და მისი დინასტიური წესით გადაცემისაკენ მისწრაფება. აქ მმართველი მოქმედებს უპირველესად, თვითნებობის საფუძველზე, არ არის სხვაობა სახელმწიფო კარიერასა და მმართველის პირად მსახურებას შორის. ცხოვრება ნაკლებად წინასწარმეტყველებადია. სულთანზიმის პირობებში იდეოლოგია არ თამაშობს მმართველის ძალაუფლების შემზღუდავ როლს. მმართველობა სულთანზიმისა და ტოტალიტარიზმის დროს ერთ ასპექტში წააგავს ერთმანეთს. ორივე შეუზღუდავია და აქვს არაწინასწარმეტყველებადი შედეგები როგორც ელიტისათვის, ასევე სხვებისათვის (29.77-78).

4.2. დემოკრატიული რეჟიმი. *დემოკრატიულს უწოდებენ ისეთ პოლიტიკურ-სამართლებრივ რეჟიმს, რომელიც ხალხს მიიხნევს ხელისუფლების წყაროდ, სუბიექტად და მიზნად.*

დემოკრატია გულისხმობს ხელისუფლების მოქმედებას ხალხის სახელით ხალხისთვის.

დემოკრატიული მმართველობის ნიშნებია:

- ხალხის აღიარება ხელისუფლების ერთადერთ წყაროდ;
- მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების, უპირველესად, პოლიტიკური უფლებებისა და თავისუფლებების აღიარება სახელმწიფოს ყველა მოქალაქისათვის თანაბრად;
- სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელებაში არჩევითი წარმომადგენლობითი ორგანოების აუცილებელი მონაწილეობა;
- ოპოზიციური პარტიებისა და მოძრაობების რეალური არსებობა და ფუნქციონირება;
- სახელმწიფო ორგანოების საქმიანობის სამართლებრივი ხასიათი;
- ხელისუფლებაზე მოსახლეობის უშუალო ზემოქმედების შესაძლებლობა;
- ხელისუფლების ანგარიშვალდებულება მოსახლეობის წინაშე;
- პიროვნების დაცულობა ყოველგვარი უკანონობისა და თვითნებობისაგან, ყველა პიროვნების მუდმივი დაცვა სახელმწიფოსაგან და სხვა.

დემოკრატიული რეჟიმი დამახასიათებელია საბაზრო ეკონომიკაზე ორიენტირებული ქვეყნებისათვის, სადაც არსებობს ძლიერი საშუალო კლასი. დემოკრატიული რეჟიმის ქვეყნებში იძულების მეთოდების გამოყენება შეზღუდულია, მასობრივი ძალადობა მოქალაქეებზე, როგორც სახელმწიფოს ზემოქმედების საშუალება თეორიულად დაუშვებელია. ძირითად მნიშვნელობას იძენს ლიბერალიზმის, დათმობის, სტიმულირების მეთოდები. დემოკრატიული პოლიტიკური

რეჟიმი არსებობს აშშ-ში, დიდ ბრიტანეთში, საფრანგეთში, გერმანიაში, შვედეთში, ფინეთში და სხვა.

4.3. ნახევრადდემოკრატიული რეჟიმი. განასხვავებენ აგრეთვე *ნახევრადდემოკრატიული რეჟიმის* მქონე სახელმწიფოებსაც, ასეთ ქვეყნებს ძირითადად მიაკუთვნებენ პოსტსაბჭოთა ქვეყნებს. ნახევრადდემოკრატიული რეჟიმისათვის დამახასიათებელია დემოკრატიულ და ავტორიტარულ რეჟიმთა ნიშნების ისეთი გაერთიანება, რომელშიც სჭარბობს დემოკრატიული რეჟიმის ნიშნები. ნახევრადდემოკრატიული რეჟიმის დროს ძირითადი მნიშვნელობა ენიჭება ლიბერალურ მეთოდებს, იძულების შეზღუდვას, წინა პლანზე გამოდის აღმასრულებელი ხელისუფლება, რითაც მცირდება წარმომადგენლობითი ორგანოს როლი და იზრდება პრეზიდენტის ხელისუფლება. ხელისუფლების შტოების შეკავების, ურთიერთგაწონასწორებისა და ურთიერთზემოქმედების პრინციპი მთლად ამოქმედებული არაა. ნახევრადდემოკრატიულ ქვეყნებში პოლიტიკური ოპოზიციის ჩახრჩობის ღონისძიებები არაა მიღებული, მაგრამ სახელმწიფო ხელისუფლება პოლიტიკურ ოპოზიციაში ხედავს მხოლოდ ნეგატიურს.

დანართი №1. დემოკრატიზაცია მსოფლიოს ქვეყნებში

რ ე ბ ი ო ნ ო	1975			1995		
	ავტორიტარული	ნახემკრადღემ(ო)კრატ(ი)ული	ლიბერალურ-დემ(ო)კრატ(ი)ული	ავტორიტარული	ნახემკრადღემ(ო)კრატ(ი)ული	ლიბერალურ-დემ(ო)კრატ(ი)ული
დასავლეთი ევროპა, ჩრდილოეთი ამერიკა, ავსტრალია	2	0	22	0	0	24
ლათინური ამერიკა	15	2	5	2	5	15
აზია	18	4	3	11	5	9
ტროპიკული აფრიკა	43	2	3	12	16	20
ახლო აღმოსავლეთი	14	3	2	13	3	2
აღმ. ევროპა და ყოფილი სსრკ	9	0	0	5	14	8
სულ	101	11	35	43	43	78
პროცენტი	68,7%	7,5%	23,8%	26,2%	26,2%	47,6%

ცხრილი აღებულია ზურაბ დავითაშვილის წიგნიდან (5. 210).

დანართი №5. სახელმწიფოებრივი მოწყობის ფორმები

შესადარებელი საკითხები	სახელმწიფოებრივი მოწყობის ფორმები		
	უნიტარული სახელმწიფო	ფედერაცია	კონფედერაცია
1	2	3	4
ტერიტორია	დაყოფილია ადმინისტრაციულ ტერიტორიულ ერთეულებად	ფედერაციის სუბიექტებს აქვთ საკუთარი ადმინისტრაციული დაყოფა.	არა აქვს ერთიანი ტერიტორია. (კონფედერაცია შედგება მასში შემავალი სახელმწიფოების ტერიტორიებისაგან)
ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების სტატუსი	არა აქვს არანაირი პოლიტიკური დამოუკიდებლობა, თუმცა, სამეურნეო, სოციალურ და კულტურულ სფეროებში მას შეიძლება ჰქონდეს ფართო უფლებამოსილება	ფლობს ნაწილობრივ სუვერენიტეტს, გარკვეულ პოლიტიკურ დამოუკიდებლობას	კონფედერაციის სუბიექტები სუვერენული სახელმწიფოა, რომელსაც აქვს კონფედერაციიდან თავისუფალი გასვლის უფლება.
სახელმწიფო აპარატი	აქვს ერთნაირი სტრუქტურა მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე. უმაღლესი სახელმწიფო ორგანოების	არსებობს სახელმწიფო აპარატის ორი დონე: ფედერალური და ფედერაციის სუბიექტის.	იქმნება ცენტრალური ორგანოები, რომლებიც ფლობენ კონფედერაციის წევრი-

	<p>კომპეტენცია არც იურიდიულად და არც ფაქტობრივად არ იზღუდება ადგილობრივი ორგანოების უფლებამოსილებით</p>	<p>პარლამენტი ორ პალატიანია, რომელთაგან ერთი ასახავს ფედერაციის სუბიექტის ინტერესებს და მისი ფორმირებისას გამოიყენება ფედერაციის ყველა სუბიექტისათვის თანაბარი წარმომადგენლობის პრინციპი, მის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის რაოდენობის მიუხედავად.</p>	<p>სახელმწიფოების მიერ დელეგირებულ უფლებამოსილებას. ეს ორგანოები ვერ ამყარებენ პირდაპირ ხელისუფლებას კონფედერაციაში შემავალ სახელმწიფოებზე. მათი გადაწყვეტილებები მიიღება ყველა წევრ-სახელმწიფოს თანხმობის შემთხვევაში და ხორციელდება შესაბამისი სახელმწიფოს ხელისუფლების ორგანოებთან შეთანხმებით.</p>
<p>მოქალაქეობა</p>	<p>ერთიანი; ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებს საკუთარი მოქალაქეობა არ აქვთ.</p>	<p>ორმაგი; ყოველი მოქალაქე არის როგორც ფედერაციის, შესაბამისი ფედერაციის სუბიექტის მოქალაქე.</p>	<p>არ აქვს; კონფედერაციის ყველა წევრ-სახელმწიფოს აქვს საკუთარი მოქალაქეობა.</p>

1	2	3	4
სამართლის სისტემა	სამართლის ერთიანი სისტემა. ერთი კონსტიტუცია, რომლის ნორმები ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე გამოიყენება ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე. ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები ვალდებული არიან გამოიყენონ ხელისუფლების ცენტრალური ორგანოების მიერ მიღებული ყველა ნორმატიული აქტი. მათი საკუთარი ნორმები უადრესად დაქვემდებარებული ხასიათისაა და ვრცელდება მხოლოდ შესაბამის ტერიტორიაზე.	არსებობს სამართლის სისტემა: ფედერალური ფედერაციის სუბიექტის. ფედერაციის სუბიექტს აქვს უფლება მიიღოს საკუთარი კონსტიტუცია. დადგენილია კანონთა იერარქია, რომლის მიხედვითაც ფედერაციის სუბიექტის კონსტიტუცია და კანონები არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ფედერალურ კანონმდებლობას.	კონფედერაციის ორგანოებს შეუძლიათ მიიღონ ნორმატიული აქტი მხოლოდ იმ საკითხებზე, რომელიც შედის მის კომპეტენციაში. ეს აქტები არ მოქმედებს უშუალოდ კონფედერაციის წევრ-სახელმწიფოთა ტერიტორიაზე. ისინი საჭიროებენ რატიფიკაციებს მოცემული სახელმწიფოს პარლამენტის მიერ.

1	2	3	4
სასამართლო სისტემა	<p>ერთიანი. მართლმსაჯულება მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე ხორციელდება ერთიანი სამართლებრივი ნორმების საფუძველზე. სასამართლო ორგანოები წარმოადგენენ ერთიანი ცენტრალიზებული სისტემის რგოლებს</p>	<p>ფედერალურ სასამართლო სისტემასთან ერთად ფედერაციის სუბიექტებს შეიძლება ჰქონდეს საკუთარი სასამართლოები. ფედერალური კონსტიტუცია ადგენს სამართალწარმოების ზოგად პრინციპებს.</p>	<p>ერთიანი სასამართლო სისტემა არ აქვს.</p>
საგადასახადო სისტემა	<p>ერთარხიანი საგადასახადო სისტემა. გადასახადები თავს იყრის ცენტრში, საიდანაც ნაწილდება რეგიონების მიხედვით.</p>	<p>ორარხიანი საგადასახადო სისტემა. ფედერალური გადასახადების ერთად, რომელიც ფედერალურ ბიუჯეტში მიდის, არსებობს აგრეთვე, ფედერაციის სუბიექტის გადასახადებიც</p>	<p>კონფედერაციას არა აქვს გადასახადები. მისი ბიუჯეტი ყალიბდება წევრი-სახელწიფობის ნებაყოფლობითი შენატანებით</p>

<p>თანამედროვე სახელმწიფო ები</p>	<p>საფრანგეთი, შვეცია, თურქეთი, ეგვიპტე და სხვა.</p>	<p>აშშ, გერმანია, რუსეთი, ინდოეთი და სხვა.</p>	<p>თანამედროვე მსოფლიოში არის კონ- ფედერაციული სახელმწიფო. კანასკნელი იყო სენეგამბიას კონფედერაცია 1981-88წწ.</p>
---	--	--	---

ვ.ვ. რუმინინასა და ა.ვ. კლიმენკოს მიხედვით (55. 55–56)

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს კონსტიტუცია, თბ., 1995.
2. არისტოტელე, პოლიტიკა, ნაწ. 1. თბ., 1995.
3. არისტოტელე, მეტაფიზიკა, თბ., 1964.
4. გიორგი გოგიაშვილი, ფედერალიზმის მსოფლიო გამოცდილება და საქართველოს ტერიტორიული მოწყობის პრობლემები. იხ., წიგნში, სახელმწიფოსა და სამართლის აქტუალური პრობლემები, თბ., 2003.
5. ზურაბ დავითაშვილი, ნაციონალიზმი და გლობალიზმი, თბ., 2003.
6. ავთანდილ დემეტრაშვილი, მსოფლიოს ქვეყნების კონსტიტუციები, თბ., 1992.
7. თანაფარდობითი კატეგორიები, თბ., 1993.
8. გივი ინწკირველი, სახელმწიფოსა და სამართლის თეორია, თბ., 1997.
9. ჯანრი კაშია, თავისუფლება და ფედერალიზმი, თბ., 1997.
10. ზურაბ კიკნაძე, სად ვეძიოთ ქართველობის ფასეულობანი? გაზეთი „განახლებული ივერია“, 1999წ. №2.
11. კონსტიტუციური (სახელმწიფო) სამართალი, ცნობარი, თბ., 1998.
12. გივი ლოპუანიძე, სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორია, თბ., 2003.
13. ვიქტორ ლორთქიფანიძე, ქვეყნის ფედერაციული მოწყობა (ინფორმაცია განსჯისათვის) თბ., 1999.
14. ჯონ ლოპლინი, დემოკრატიული სახელმწიფოს ტრანსფორმაცია დასავლეთ ევროპაში, ბათ., 2000.

15. გიორგი მანიტაძე, მთელის, ნაწილის, ზოგადისა და ერთეულის კატეგორიების ურთიერთმიმართება, თბ., 1989.
16. ოთარ მელქაძე, საზღვარგარეთის ქვეყნების სახელმწიფო სამართალი, თბ., 1995.
17. ოთარ მელქაძე, კონსტიტუციონალიზმი, თბ., 2005.
18. ოთარ მელქაძე და მისი გუნდი, მსოფლიო ქვეყნების სამართლებრივი სისტემები, ცნობარი, ნაწილი I. თბ., 2001წ.
19. გიორგი ნადარეიშვილი, სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია. ლექციების კურსი, წიგნი პირველი, ძველი აღმოსავლეთი და ძველი საბერძნეთი. თბ., 1996.
20. აბესალომ ასლანიძე, ”ისლამის ფაქტორი და პოლიტიკა”, იხ., ჟ. პოლიტიკა, 1996, №11-12.
21. მიხეილ ნანიშვილი, საქართველოს ფედერალიზაცია: ეროვნული თვითმკვლევლობა?, იხ., საქართველოს სახელმწიფო – უნიტარული თუ ფედერაციული, ბათუმი, 2005.
22. ზაზა რუსაძე, საქართველოს კონსტიტუციური სამართალი, ბათუმი 1999.
23. ბიძინა სავანელი, სამართლის თეორია, თბ., 1993.
24. საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის საჯარო გამოსვლა ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეაზე 2005 წლის 26 იანვარს, გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 29. 01. 2005. №22.
25. ოლივიე დუტელიე დე ლამოტი, ნახევრად საპრეზიდენტო სისტემა, იხ., სახელმწიფოს კონსტიტუციური ორგანიზაცია. საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალები (თბილისი, 18-19 მაისი), თბ., 2004.

61. . . ,
., 1911.

62. ილია ანთელავა, XI-XV საუკუნეების საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიის საკითხები, თბ., 1980.

63. ლალი ზაქარაძე, ეროვნული იდეოლოგია სახელმწიფო მოწყობის პერსპექტივაში, იხილეთ წიგნში: საქართველოს სახელმწიფო – ფედერაციული თუ უნიტარული, ბათუმი, 2005.

64. . . , . . . , 2004.

65. რესპუბლიკა: საპარლამენტო თუ საპრეზიდენტო, თბ., 1996.

66. ტარიელ ზოზრაშვილი, მსოფლიოს ქვეყნები, გამომცემლობა ქართული რედაქცია, 2004.

67. : , -
, 2004.

68. . . ,
 , -
 " , , XXI
": , . , 2004.

69. . . , : . . , -
 " , -
 , XXI ": , . , 2004.

70. გიორგი სიხარულიძე, ფედერალიზმი, თბ., 2004

შ ი ნ ა ა რ ს ი

1. სახელმწიფოს ფორმის ცნება	3
2. სახელმწიფოს ფორმები მმართველობის მიხედვით	6
სახელმწიფოს მმართველობის ფორმის ცნება	6
მონარქიული მმართველობა	7
რესპუბლიკური მმართველობა	22
3. სახელმწიფოს ფორმები ტერიტორიულ- სახელმწიფოებრივი მოწყობის მიხედვით	38
უნიტარული სახელმწიფო	39
ავტონომიები უნიტარულ სახელმწიფოში	44
რეგიონალური(რეგიონული) სახელმწიფო	51
ფედერაციული სახელმწიფო	52
ფედერაციის სუბიექტთა სამართლებრივი მდგომარეობის საფუძვლები	65
სახელმწიფოთა არატრადიციული გაერთიანებები	71
საქართველოს ტერიტორიულ-სახელმწიფოებრივი მოწყობის საკითხი	76
4. სახელმწიფოს ფორმები პოლიტიკური(სახელმწიფო) რეჟიმის მიხედვით	80
ანტიდემოკრატიული რეჟიმი	81
დემოკრატიული რეჟიმი	87
ნახევრადდემოკრატიული რეჟიმი	89
დანართი №1. დემოკრატიზაცია მსოფლიოს ქვეყნებში	90
დანართი №2. ცენტრსა და რეგიონს შორის არსებული ურთიერთობები ევროპის კავშირის ქვეყნებში	91
დანართი №3. მონარქიის სახეები და ნიშნები	93
დანართი №4. რესპუბლიკის სახეები და ნიშნები	95
დანართი №5. სახელმწიფოებრივი მოწყობის ფორმები	98
გამოყენებული ლიტერატურა	103

კომპიუტერული უზრუნველყოფა

ხათუნა ვასაძისა

ტექნიკური რედაქტორი და დამკაბადონებელი

ედუარდ ანანიძე